დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი

წევრები:

ხატია მჭედლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაყვალა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობესაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**243891507**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ხაშური**
იურიდიული მისამართი	**ქალაქი ხაშური. ოქტომბრის ქ.241**
ფაქტობრივი მისამართი	**ქალაქი ხაშური. ოქტომბრის ქ.241**
საფოსტო ინდექსი	**5700**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**ვებგვერდი არ აქვს**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Khashuri9@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**591056860**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 19/05/2023 წ. ბრძანება MES 6 23 0000564452
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	22,23 ივნისი 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24ქ. (ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276).
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24ქ. (ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24ქ. (ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276).

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. გამართა სამუშაო შეხვედრა, შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი. თავჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. სკოლა მზად იყო თანამშრომლობისათვის. ხელს უწყობდა ექსპერტებს შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებაში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად მშვიდ და საქმიან ვითარებაში. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VII საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რაოდენობა: 550	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სკოლის

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		თვითშეფასების გათვალისწინებით
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შემუშავებულ ერთწლიან სამოქმდო გეგმაში ასახოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
ინდიკატორი N 1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული პირებისათვის არსებული კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების შესაბამისი ცნობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პრინციპების დაცვით	(ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის) არსებობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილ ვადებში შეიმუშაოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უზრუნველყოს პერსონალის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში: ა. შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან, ბ.მოიპოვოს დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობის მდგრადობის შესახებ
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისობაში მოიყვანოს საჯარო რეესტრში დაფიქსირებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 448-ე ბრძანებით განსაზღვრულ ჩანაწერი სკოლის მიამართის შესახებ
ინდიკატორი N3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა,მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილ ვადებში უზრუნველყოს ბიბლიოთეკის ფართის ცვლილება/გაზრდა
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.
ინდიკატორი	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N3.6.3.5	გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებგვერდზე ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვა.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს ყველა მოსწავლის /მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლების გათვალისწინება შინაგანაწესში
ინდიკატორი N4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის შემუშავება

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.1.1.	**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**	შეიმუშაოს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი ერთიანი დოკუმენტი/დოკუმენტები
ინდიკატორი N3.1.2.3	**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას**	შეიმუშაოს პრსონალის მართვის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	
ინდიკატორი N3.2.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	გაწეროს საკუთრ კულტურაში არსებული დაუწერელი წესები, რომლითაც მოქმედებენ ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციის ხელშესაწყობად. რომლებიც თუნდაც კონკრეტული აქტივობების ნუსხის სახით იქნება ფორმირებული იმ პასუხისმგებელი პირების მითითებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ შესრულებას.
ინდიკატორი N3.3.1.2.	**იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**	სკოლამ შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერი ერთიანი დოკუმენტი
ინდიკატორი N3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	გაწეროს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთიანი წესი, მათ შორის, მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური	**აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექიმი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	
ინდიკატორი N3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს/გაწეროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლ ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევი მობილობის, სტატუსის შეჩერებისა შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფი კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს ერთიან დოკუმენტად მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები და გასააჯაროს, რათა ის ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისათვის
ინდიკატორი N4.2.1.5	**.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**	იმისათვის, რომ ეფექტურად მართოს/უზრუნველყოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელშიც გაითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, ინიცირებული საკითხების განხილვის ვადებს და პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი NN2.2.2.6	**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**	გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას ვადები ინდიკატორთან შესაბამისობაში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი NN2.2.2.6	**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**	გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას ვადები ინდიკატორთან შესაბამისობაში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი NN2.2.2.6	**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო**	გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას ვადები ინდიკატორთან შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლა დაეთანხმა დასკვნაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებული ყველა ხარვეზი, გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები. გათვალისწინებულია რისკები.
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისიაა - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლა, ასახავს რა მასწავლებელთა, მშობელთა და თემის მოსაზრებებს, ხელს უწყობს სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეთა ინტელექტუალურ, ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რათა მათ შეძლონ - სწავლა უსაფრთხო და მათთვის სასურველ გარემოში. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩამოუყალიბდეთ კრიტიკული აზროვნება და სამართლიანი განსჯის უნარი, იყვნენ სანიმუშო პატივცემული ადამიანები, პასუხიმგებლობის მქონე მოქალაქენი.

სკოლის ხედვაა - შექმნილია მოზარდთა განვითარებისთვის უსაფრთხო გარემო, გაზრდილია სწავლისადმი მოტივაცია. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მოსწავლეებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან ერთად ზრუნავს დემოკრატიული ფასეულობების მქონე ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განვითარებაზე, გლობალური მოქალაქეობის ცნობიერების მქონე პირთა ჩამოყალიბებაზე.

სკოლის წარმოდგენილი მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან ჩამოუყალიბოს მოზარდს განვითარების, ახალი ცოდნისა და ჩვევების შეძენის უნარი, აღზარდოს დემოკრატიული ფასეულობების მქონე აქტიური მოქალაქე.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოახდინოს სკოლის ფილოსოფიის რევიზია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სწავლას უსაფრთხო გარემოში და სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე. მართლაც, სკოლას აქვს როგორც შიდა ისე გარე რეკრეაციული სივრცეები, სადაც სკოლა ახორციელებს მრავალფეროვან ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებს. სკოლაში არსებული ვრცელი დერეფნები და ფოიე გამოყენებულია როგორც საგამოფენო სივრცეები სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია გამოფენილი, წახალისებულია მოსწავლის შემოქმედებითობა და უზრუნველყოფილია მისი აღიარება. სკოლა ეფექტურად იყენებს სკოლის საკმაოდ ვრცელ ეზოს სასკოლო ღონისძიებებისთვის, რაშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ღირებულებებია: თანამშრომლობა, ტოლერანტობა, ღიაობა და გამჭვირვალობა. სკოლის ღირებულებები ისახება სკოლის დამკვიდრებულ პრაქტიკაში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადობის წევრების მიერ. ის წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის (2022-2023 სასწ.წ.) ნაწილს, რომელიც შემუშავდა მასწავლებლების/კათედრების და დირექტორის მონაწილეობით, შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა პედსაბჭოზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მისია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას, რაც მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება "სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა) ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საწავლო გეგმა 2022-2023 სასწ.წ.;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N3 (08.09.2022 წ);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული. სკოლა აღნიშნული მთოდოლოგიაზე მუშაობას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს.

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (სექტემბერი, 1 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. შეიმუშაოს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია აქტივობა, ადამიანური რესურსი. სკოლა თვლის, რომ რისკები არ არსებობს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. დაწესებულება სტრატგიული განვითარების გეგმაზე მუშაობას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (ოქტომბერი, ნოემბერი 2023 წ. 2 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. შეიმუშაოს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია აქტივობა, ადამიანური რესურსი. სკოლა თვლის, რომ რისკები არ არსებობს.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული სამოქმედო გეგმა
დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (2023 წ.დეკემბერი. 1 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების შემდგომ შეიმუშაოს სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია აქტივობა, ადამიანური რესურსი. სკოლა თვლის, რომ რისკები არ არსებობს.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სკოლის თვითშეფასების გათვალისწინებით

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას ვიზიტის პრიოდში არ ჰქონდა შემუშავებული სამოქმედო გეგმა.
დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (2023 წ.დეკემბერი. 1 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია აქტივობა, ადამიანური რესურსი. სკოლა თვლის, რომ რისკები არ არსებობს.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შემუშავებულ ერთწლიან სამოქმდო გეგმაში ასახოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.**

სკოლას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (2023 წლის სექტემბერი, 1 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. შეიმუშაოს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია და ასახოს მასში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია აქტივობა, ადამიანური რესურსი. სკოლა თვლის, რომ რისკები არ არსებობს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ანგარიში;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანების, „საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ“ და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეხება სკოლაში დასაქმებულ პირებს მათი ფუნქცია - მოვალეობები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ხელშკრულებებში გაწერილი ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას **მიეცა რჩევა, შეიმუშაოს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი ერთიანი დოკუმენტი/დოკუმენტები**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის და ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, ასევე საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლს ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიგრამა;
- საშტატო განრიგი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შინაგანაწესით უზრუნველყოფილი აქვს პროგნოზირებადი სამუშაო გარემო, შინაგანაწესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები ერთმანეთთან შესაბამისობაშია. მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის, სამედიცინო პერსონალის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში მოსწავლეთა მობილობის, მასწავლებელთა/პერსონალის გადინების შემთხვევაში დგება კვალიფიციური კადრის პრობლემა. ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლას უწევს წინასწარ განსაზღვროს პირველკლასელ მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობა, რათა გამოაცხადოს მოსწავლეთა მიღება და შესაბამისად წინასწარ დაადგინოს მომავალ სასწავლო წელს მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალის სავარაუდო საჭირო ოდენობა, იზრუნოს შესაბამისი პერსონალის მოზიდვაზე. სკოლას ვიზიტის პერიოდში ვაკანსია ჰქონდა გამოცხადებული ექიმის პოზიციაზე hr.gov.ge-ზე (550 მოსწავლის შემთხვევაში რეკომენდირებულია ექიმისა და ექთნის მომსახურება. სკოლას ჰყავდა მხოლოდ ექთანი). სკოლა პერსონალის მართვის სხვადასხვა ეტაპზე ცდილობს წინასწარ მოახდინოს არასასურველი შედეგების პრევენცია, რისთვისაც, პერსონალის მიღების პროცესში გარდა განათლებისა და სამუშაო გამოცდილებისა ყურადღება ექცევა მის პერსონალურ თვისებებს: კომუნიკაბელურობას, თანამშრომლობით უნარებს, პასუხისმგებლიანობას და სხვა. სკოლის შინაგანაწესით დადგენილია თანამშრომელთა წახალისებისა და გადაცდომის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი არ აქვს შემუშავებული. სკოლაში კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცესი (მასწავლებლების და სამედიცინო პერსონალის შემთხვევაში) რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ (2019 წლის 20 აგვისტო) ბრძანებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ (2022 წლის 21 მარტი), ხოლო სკოლაში დასაქმებული სხვა პირების დასაქმება ხორციელდება უშუალოდ დირექტორის გადაწყვეტილებით.

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს პერსონალის მართვის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სკოლაში მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, სამედიცინო პერსონალის აყვანის პროცედურები და შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის მიერ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლის შიდა რეგულაციებთან, რაც შეეხება **პირად საქმეებს, გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს, სრული შემადგენლობით, არ ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.**

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (1 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული პირებისათვის არსებული კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების შესაბამისი ცნობების (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის) არსებობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ფიქსირდება დირექტორის მ/შ, 41 მასწავლებელი, მათ შორის 20 წამყვანი, 19 უფროსი და 2 სპეციალური მასწავლებელი, 1 ბიბლიოთკარი, 1 ექთანი, 3 დარაჯი, 1 ბუღალტერი, 1 მტუკი, 1 საინფორმაციო მენეჯრი, 5 დამლაგებელი. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით), რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს სკოლას არ აქვს შემუშავებული მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად ვერ დადგინდა, თუ რამდენად შეესაბამება სკოლის პერსონალი დაკავებულ თანამდებობას.

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (სექტემბერი-ოქტომბერი, 2 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი, შეიმუშაოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსი და გათვალისწინებულია რისკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილ ვადებში შეიმუშაოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უზრუნველყოს პერსონალის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ორგანიზაციური კულტურა დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპებზე, კათედრები ერთობლივად მუშაობენ საგნობრივ კურიკულუმებზე, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება, საკოლო პროექტებს ახორციელებენ სიტუაციური ლიდერები, გამომდინარე თავიანთი კომპეეტენციებიდან. მასწავლებლის შერჩევა ხდება ასევე სკოლის/სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 20) განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები, რომლებიც გამოიყენება სკოლის პერსონალის მიერ მუშაობაში მოპოვებული წარმატების, განსაკუთრებული სირთულის/მნიშვნელობის დავალებების, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენის დროს. გარდა აღნიშნულისა სკოლის პრაქტიკაა კათედრაზე მასწავლებლის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ, კომისიის შექმნის შესახებ;
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები;
- სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა;
- დასაქმების ვებგვერდები teacherjobs.ge, hr.gov.ge;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- კათედრის ოქმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ხელშეკრულებები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მიზნით სკოლაში ფორმირებულია სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლაში მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ესწრება უფროს და წამყვან მასწავლებლებს და ადგენს მათ პროფესიულ საჭიროებებს. კათედრის დონეზე მოქმედებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების და კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. სკოლის არსებული პრაქტიკის მიხედვით ხდება მოსმენილი გაკვეთილის განხილვა გაანალიზება (შემუშავებულია მასწავლებლის მიერ გაკვეთილის მართვის შეფასების ფორმა), მასწავლებლის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და საჭიროებების დაზუსტება. რაც შეხება ადმინისტრაციას, მათ შეფასებას, მათივე სამუშაო აღწერილობაზე დაფუძნებით, ახორციელებენ დირექტორი და მტუკი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა ახდენს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რათა გამოკვეთოს მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. მასწავლებლების ნაწილში ამ მიზანს ემსახურება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რაც შეეხება სკოლის ტექნიკურ პერსონალს მათ შეფასებაზე პასუხისმგებელია მტუკი, ხოლო ადმინისტრაციის შეფასებას ახდენს სკოლის დირექტორი.

პერსონალის შეფასების შედეგად დადგენილი საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება მათი პროფესიული განვითარება, ამის მაგალითია სკოლაში მასწავლებლების მიერ გავლილი ტრენინგები (მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული) და ასევე ცეცხლფარეშის მიერ გავლილი გადამზადება გაზოოპერატორის პოზიციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

პერსონალის კარიერული ზრდა და განვითარება სკოლისათვის მუდმივი ზრუნვის საგანია. სკოლაში ფუნქციონირებს გამოცდილების გაზიარების, ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი. კომპლექსური დავალებების განხორციელების მონიტორინგის ფორმატში მასწავლებლები ერთმანეთს აკვირდებიან და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და საჭიროებებიდან გამომდინარე გეგმავენ და ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. სკოლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სკოლამ მაძიებელ მასწავლებელს შეუქმნა ყველა პირობა - გამოუყო მენტორი (ბრძანება N1-024), დაეხმარა პროფესიულ დაოსტატებაში და კანონმდებლობის შესაბამისად მაძიებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. სკოლის მხრიდან მასწავლებლის კარიერული ზრდის ხელშეწყობის თვალსაჩინო მაგალითებია სკოლაში 20 წამყვანი მასწავლებლის არსებობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მისი თითოეული წევრი სკოლის სრულფასოვან წევრად თვლიდეს თავს, შესაბამისად ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციაზე სასკოლო საზოგადოებაში. ამისთვის სკოლაში არის შექმნილი სასიამოვნო სამუშაო გარემო, ახალ თანამშრომელს აცნობენ სკოლის შიდა ნორმატიულ აქტებს, სკოლის კულტურას, ამატებენ შიდასაკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. მასწავლებლის ადაპტაციაზე გამორჩეულად ზრუნავს შესაბამისი კათედრა, კოლეგები უზიარებენ გამოცდილებას, აწვდიან ყველა შესაბამის დოკუმენტაციას და რთავენ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტში. ახალი თანამშრომლის სასკოლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა სკოლის კულტურის ნაწილია, რაც დადასტურდა ბოლო წლებში სკოლაში დასაქმებულ კადრებთან გასაუბრებით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს ყველა მოსწავლის /მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების გათვალისწინება შინაგანაწესში

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და შესაბამისად ის გაზიარებულია სამეურველ საბჭოს წევრების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) მიერ. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. მასწავლებელი შრომით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით, ხოლო მშობელი სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ შინაგანაწესის გაცნობის/გაზიარების ფაქტს, შესაბამისად სკოლის შინაგანაწესი სასკოლო საზოგადოებისათვის ცნობილია.

აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო **რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, უფლებები და ვალდებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- კლასის დამრიგებლის მოვალეობები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის № 9 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- ბრძანება N2-131 (21.10.2022 წ) არასრულწლოვანთა შიდა რეფერირების ინსტრუქციი დამტკიცების თაობაზე;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვას და სტატუსის შეჩერების წესებსა და პირობებს სკოლა არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების („ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის) შესაბამისად. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს კი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მოსწავლის სკოლაში ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის ნუხა და კლასიდან კლასში გადაყვანის წესი, ასევე სკოლის მიერ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვაზე შესაძლო უარი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის **43-ე მუხლით (მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა).**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს ერთიან დოკუმენტად **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები** და გასააჯაროს. რათა ის ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისათვის.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის არსებული პრაქტიკა, მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლაში გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები. სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა სტატუსის შეჩერებისა ფაქტები. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები კანონმდებლობის შესაბამისია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებულ დამატებით მომსახურებას წარმოადგენს ძირითდად არაფორმალური მიმართულებით პროექტებში მონაწილეობა რაც ემსახურება მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ, პიროვნულ ზრდას და განვითარებას. ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

აღნიშნული პროექტების და მოსწავლეთა მოსალოდნელი საქმიანობის/ქცევის შესახებ წინასწარაა ყოველთვის ცნობილი. მისი გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის პროექტის წარდგენის ეტაპზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეებში თვალსაჩინოდ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მართვის საინფორმაციო ბაზა;
- სკოლაში გამოცემული ბრძანებები სტატუსის შეჩერება, შეწყვეტაზე, მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვაზე, საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარებაზე;
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების სამოქმდო გეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას არ აქვს შემუშვებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანზმი და გეგმავს 2023-3024 სასწავლო წელს შეიმუშაოს, თუმცა პრაქტიკულად ახორციელებს მოსწავლის სოციალიზაციის/ტრანზიციის ხელშეწყობას.
დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა მზაობა მოკლევადიან პერიოდში (1 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსი და გათვალისწინებულია რისკები.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანზმის შემუშავება

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, სკოლა ხელს უწყობს პირველ კლასის პოტენციურ მოსწავლეების სასკოლო სივრცეში ტრანზიციის პროცესს, რისთვისაც ღია კარის დღეზე იწვევს ბაღის აღსაზრდელებს, სკოლა ანალოგიურად მუშაობს სსსმ მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევაშიც. წინასწარ მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად იწვევს სკოლაში და ათვალიერებინებს მომავალ მოსწავლეებს გარემოს, აცნობს სპეციალური მასწავლებლებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლისთვის უპირატესია მოსწავლის აკადემიური მოღწევების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. შესაბამისად სკოლა/მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, აწვდიან მოსწავლის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, წარმატებებისა და საჭირობების შესახებ. იყენებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ სწავლებას და ეხმარებიან მოსწავლეებს სირთულების დაძლევაში. შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას ადგენენ მოსწავლის საჭიროებას და გეგმავენ მათთან მიზნობრივ მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა საკუთარი სერვისების დროული მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას, კანონით დადგენილ ვადებში ახდენს მოსწავლის მობილობისათვის საჭირო ქმედებების განხორციელებას, საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტაციის მომზადებას, სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფის შექმნას და შესაბამისი ინდგეგმების შემუშავებას. სკოლის თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლას მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. მოწავლეთა საჭიროებიდან/ინიციატივიდან გამომდინარე სკოლას აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მოსწავლეთა ერთჯერადად უზრუნველყოფის პრაქტიკა.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს მოსწავლეთა ინტერესების კვლევას და შესაბამისი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების შეთავაზებას, რისი გამოცდილებაც მას აქვს და რაც დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლას მიეცა რჩევა, იმისათვის, რომ ეფექტურად მართოს/უზრუნველყოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელშიც გაითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, ინიცირებული საკითხების განხილვის ვადებს და პირობებს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მომსახურების მიზნობრივი გაუმჯობესება, რასაც საფუძვლად მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი დაედება. მიმდინარე ეტაპზე, სკოლა იღებს ზეპირ უკუკავშირებს მოსწავლეებისგან და მოსწავლეთა თვითმმართველობისგან თუმცა აღიარებს, რომ მნიშვნელოვანია ამ პროცეს მისცეს სისტემატიზებული სახე და გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს დაიწყოს მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირების ოფიციალურად დაფიქსირება/დოკუმენტირება და ანალიზი. რაც სკოლის საქმიანობას უფრო ორგანიზებულს გახდის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დკუმნტაცია;
- მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვის ბრძანებბი;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს თავჯდომარისადმი გაგზავნილი წერილი MES 0 15 0001204859;
- სამეეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

4.2.2სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმით, განსაზღვრული ჰქონდა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები, გარდა ამისა, სადამრიგებლო საათებშიც (საბაზო და საშუალო საფეხური) გაწერილი ჰქონდა მოსწავლეებთან კარიერაზე და პროფსიაზეე დიალოგი. სკოლა კვლავაც გეგმავს ინტენსიურად იმუშაოს აღნიშნული მიმართულებით და ხელი შეუწყოს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეევს პროფესიის არჩევაში.

სკოლა ასევე იწვევდა და კვლავაც მოიწვევს წარმომადგენლებს სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლიდან, რომლებიც მოსწავლეებს მიაწვდიან სანდო ინფორმაციას პროფესიის მნიშვნელობაზე, არსებულ გამოწვევებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა, თანამშრომლობს რა მოსწავლეებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, სისტემატურად აწვდის ინფორმაციას დაგეგმილ აქტივობებზე და მათ შორის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლას ამ პროცესში ჩართული ჰყავს კლასის დამრიგებლები, რომლებიც აწვდიან სანდო და განახლებულ ინფორმაციას მშობლებს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან და პროფესიებთან/კვალიფიკაციებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა იკვლევს რა მოსწავლეთა ინტერესებს (თუმცა ამის დოკუმენტირებას არ ახდენს და გეგმავს რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოახდინოს თავისი კვლევების დოკუმენტირება საერთო სურათის დასანახად და პერსპექტივაში ქმედებების დასაგეგმად), გეგმავს მოსწავლეთა კარიერული და პროფსიული დაგეგმვის ნაწილში განახორციელოს კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგები გაითვალისწინოს სამომავლოდ, რაც საშუალებას მისცემს შეიმუშაოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასული სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმები;
- სადამრიგებლო სათების თემატიკა.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლაში დარეგისტრირებული თითოეული სსსმ მოსწავლისათვის განსაზღვრულია ისგ ჯგუფი, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნების მიხედვით. თითოეული მოსწავლის პირად საქმეში ინახება ისგ ჯგუფის ოქმები, ისგ ჯგუფის სხდომები ტარდება კანონმდებლობის შესაბამისად და განიხილება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები.

სკოლას შემუშაებული აქვს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც აკვირდებიან სასწავლო პროცესში რამდენად რთავს მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს. ბრძანება N2-048 - ით დამტკიცებულია მოსწავლეების პირველადი მართვის მექანიზმი რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია რომ სკოლა მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად .

სკოლაში შექმნილია სსსმ მოსწავლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ევალება შეამოწმოს სკლაში ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტი და შეისწავლოს ისგ ჯგუფის მუშაობა. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით აწვდის განათლებისა და მეცნირების სამინისტროს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას მოწყობილი აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით. ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2 სპეციალური მასწავლებელთან (უფროსი). თითოეულ სსსმ მოსწავლეზე განსაზღვრულია ისგ ჯგუფი ბრძანებით და შექმნილია შესაბამისი ინდგეგმა ისგ ჯგუფის მიერ. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. ბრძანებით განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბრძანება N2-048 სსსმ მოსწავლის პირველადი მართვის დამტკიცების შესახებ;**
- **ბრძანებები ისგ ჯგუფის ფორმირებაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- **ისგ - ები;**
- **ისგ ჯგუფის ოქმები;**
- **მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;**
- **მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.**

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა არასავალდებულო ხასიათის მომსაახურება შეთავაზებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას არ აქვს განსაზღვრული აღნიშნული ტიპის მომსახურების გაწევა

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
სკოლას არ აქვს განსაზღვრული აღნიშნული ტიპის მომსახურების გაწევა

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 23/06/2023 წ. N2-051 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. (სამუშაო ვერსია). წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმი შემდგომ ვითარდება მშობლების და დირქციის აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნება სკოლის მისია და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული თემა, რომელზე მუშაობასაც გადაწყვეტს სკოლა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში გამოიხატება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლებზე დაკვირვების შედეგად (მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს როგორი დავალებები მოსწონთ, რა ფორმით გადაცემულ ინფორმაციაა მათთვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი და შესაბამისად კურიკულუმში იცვლება საკითხები, მეთოდები, მიდგომები) კურიკულუმში ასახულ ცვლილებში. მშობლთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მშობელთა კრბებზე და სოციალურ ქსელში თიმსის ჯგუფებში გაზიარდება კომპლექსური დავალებები და მშობლის ბარათები. შეფასების რუბრიკები შემუშავდება მოსწავლეთა ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

1. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. რაც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარის, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის.

კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა .

სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილობს სასკოლო საზოგადობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება), ასევე კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო (კურიკულუმი თანხმდება სამეურვო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე) უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• ბრძანება N2-051 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- ✓ სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის აგებას, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროცესში. სასწავლო თემები განსაზღვრულია იმგვარად, რომ ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, ბუნება, სიკეთე და ბოროტება...). კონტექსტ მაგალითებისა და თემების აზრობრივი კავშირის უფრო ლოგიკურად გამოსაკვეთად სასურველი იქნებოდა, კათედრას გრიფმინჭებული სახელმძღვანელოს სარჩევთან ერთად, ეხელმძღვანელა საგნობრივ სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თემებით, რაც ვიზიტის დროს მასწავლებლემა გაიზიარეს, აღნიშნეს, რომ კურიკულუმი ეტაპობრივად იხვეწება. რამდენიმე სასწავლო თემასთან ნაჩვენებია გრძელვადიან მიზნებთან, საფეხურის სამიზნე ცნებებთან კავშირი, მასწავლებლებმა მკაფიოდ და კონკრეტული მაგალითების საშუალებით ისაუბრეს, როგორ შეიძლება მათ მიერ დაგეგმილმა კომპლექსურმა დავალებებმა და სავარაუდო საეტაპო აქტივობებმა ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

- ✓ მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა წარმოადგინეს კურიკულუმის ჩარჩო. შემუშავებული I-VI კლასის მათემატიკის საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე; კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის და მსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტების განხილვა და შესაბამისად, ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მასწავლებლებთან იძლევა იმის საშუალებას რომ ვთქვათ, კათედრას აქვს მზაობა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის დონეზე- ე.სგ.მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. კათედრა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ტიპის დავალებებს,რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიან პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი საზროვნო უნარები სჭირდება. ამის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ, დაწყებით საფეხურზე წარმატებით განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ასევე კურიკულუმის ზოგიერთი კომპლექსური დავალების იდეა, შესაბამისი კონტექსტმაგალითებითა და სასწავლო რესურსების ჩამონთვალით. კურიკულუმებში იყო მცირეოდენი უზუსტობანი, რომელიც გამოსწორებულ იქნა ადგილზე ყოფნის პერიოდში.შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილია ორი საგნის: III და IV კლასების ,, მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების ,, ჩვენი საქართველოს “ შემდგომი სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნებები, როგორც გრძელვადიანი მიზანი. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალების ბარათი, კომპლექსური დავალების გეგმა საგანში ჩვენი საქართველო, შემაჯამებელი დავალებები , სასკოლო პროექტი, ინდ. სასწავლო გეგმები. მოცემული დოკუმენტების გაანალიზებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/სასწავლო შედეგი / მოსწავლის პიროვნული განვითარება წარმოადგენს, სადაც ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გეგმაში ეს ნათლად ჩანს. მოცემული დავალებები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, *მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები* , რაც იწვევს მის ემოციურ კმაყოფილებას. ასევე შემუშავებული ისგ-ები ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად ჩართვას სასწავლო პროცესსა თუ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული არაერთი სასკოლო პროექტი ჩანს, რომ ასევე ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების სოციალურ ინტეგრაციას თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების, განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობისა და თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა/გამომუშავების კუთხით.სასკოლო პროექტები ჯანსაღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ცხოვრების, გარემოს დაცვის თემებზე ახდენს მოსწავლეთა პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარების უზრუნველყოფასა და მოტივაციის გაზრდას ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებით. ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში, კათედრის წევრებთან განხორციელებული ინტერვიუდან გამოვლინდა, რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარებისთვის იყენებს ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, გაკვეთილზე დასწრებისა თუ კრიტიკული მეგობრის მეთოდის საშუალებით, ერთობლივად აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი გამოცდილება, ხედვა და მზაობა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ უცხოური ენები

სკოლის მიერ შემუშავებული, დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმები ძირითადად პასუხობს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურუკულმებში, სამიზნე ცნებები, რომელთა დამუშავებასაც გეგმავს მასწავლებელი, ძირითადად სათანადოდ არის წარმოდგენილი და შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სკოლის მასწავლებლები ფლობენ უცხო ენების სტანდარტებში წარმოდგენილ, შესაბიმის სამიზნე ცნებებზე ორიენტირების უნარს. როგორც პირველ, ის მეორე უცხო ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, გარკვეული პერიოდულობით მოცემულია კომპლექსური ტიპის დავლებების ინსტრუქციები, რაც იმის მანიშნებელია, რომ სკოლა უცხო ენის გაკვეთილებზე, ორიენტირებულია, შუალედური სასწავლო მიზნების დასახვით, გრძელვადიან სასწავლო მიზნების მიღწევაზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებების სასწავლო პროცესში გამოყენება, ბუნებრივია, მიანიშნებს, რომ სკოლას იგი გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენება უცხო ენების სწავლების პროცესში, თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასაც. პირველი და მეორე უცხო ენის საგნობრივ კურიკულემებში შერჩეული თემები, მსგავსია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ უცხო ენების სარეკომენდაციო სასწავლო თემების.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ ისინი ცდილობენ აქტიურად დანერგონ კოპლექსურ დავალებები. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებს.ისინი თავად არიან მუდმივი სწავლის და განვითარების პროცესში და სამომავლოდ კიდევ უფრო დახვეწენ კურიკულუმებს.

- ✓ ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა მზაობა კომპლექსური დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ სპორტი

დაწყებით საფეხურზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა მასწავლებლის ჩართულობით შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო. შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. მასწავლებლებმა იციან, თუ როგორ გაიყვანონ მოსწავლეები შუალედური მიზნებით, გრძელვადიან მიზნებზე.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- ✓ სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო პროცესის მიმართება და ორიენტირება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ იკვეთება იმ ნაწილში, სადაც ნაჩვენებია თემატური დაგეგმვა. კერძოდ, სასწავლო თემები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი, ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითი იყოს და შეძლოს ნასწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება. ვიზიტის დროს, საკითხის განხილვისას, მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის ფარგლებში-თანატოლების ცხოვრება - სხვადასხვა საგნობრივ ქვეცნებასთან ერთად, როგორ შეიძლება იმუშაონ ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, როგორიცაა კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ხასიათი და ნება; სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილებაც, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. პროექტების დაგეგმვა და განხორციელება თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების გამოვლენას მოსწავლის მხრიდან. ამასთან, კათედრის წევრების ზეპირი უკუკავშირის მიხედვით, ისინი აცნობიერებენ, როგორ შეიძლება სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნების შესრულების პარალელურად მოსწავლეებს განუვითაროთ გლობალურ-ფუნქციური უნარები, ამ უკანასკნელის მიღწევის გზად ასახელებენ საგანთა ინტეგრირებას (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და მე და საზოგადოება). შეიძლება დავასკვნათ, რომ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე ორიენტირება მასწვლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლების მიერ შედგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).
მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების(მაგ. “გონიერი რობოტუნები“ პირველი კლასი, „დავეხმაროთ წიქელქუდას“ , „ტანგრამი“ მეორე კლასი, „დავეხმაროთ რწყილს ჭიანჭველას გადარჩენაში“ მესამე კლასი, ,, საქართველოს რეგიონები“ მეოთხე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თუმცა ყველა თემაში და მით უფრო ყველა კლასში არ იყო განსაზღვრული ხუთივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.**(ეს ხარვეზი ადგილზე იქნა გასწორებული)**. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიმართული, ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარები განვითარებას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული კონექსტის/კონტექსტების მნიშვნელობა,რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღმისეულად და მრავალმხრივ გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის გააზრებული და გაწერილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხის საშუალებით ორივე საგანში (,,მე და საზოგადოება“ , ,, ჩვენი საქართველო“) რიგ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, დაგეგმილი პროცესი იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. რომლითაც მოსწავლე სწავლობს ფორმალური თუ არაფორმალური სწავლის პროცესში. ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს, ეს ყოველივე ასევე კარგად ჩანს წარმოდგენილ კმპლექსური დავალების გეგმაში საგანი ,, ჩვენი საქართველო“ – V კლასი.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს ჩამოყალიბებული სამომავლო ხედვა, შესაბამისად მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება) , რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ უცხოური ენები

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება), რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი უნდა იყოს. უცხო ენების, დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების პირობები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სკოლა გეგმავს განუვითაროს, თავის მოსწავლეებს, ზემოთ ჩამოთვლილი გლობალური, ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალებები, ისევე როგორც სასწავლო პროექტები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განვითარებას უწყობს ხელს. სკოლის განცხადის ფორმაზე თანდართული მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები ისეთ თემებზე, როგორიცაა კლიმატის ცვილებები და ჯანსაღი ცხოვრების წესი. პროექტის განმხორციელებელ გუნდში, ერთ-ერთ მონაწილე მხარედ დასახელებულია უცხო ენების კათედრის წარმომადგენელი, დაწყებით საფეხურზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხო ენების სწავლების დროს, ფუნქციური უნარების განვითარებისთვის, სკოლას მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალებები და პროექტული სასწავლო ღონისძიებები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც მას უკვე გააჩნია.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც გასაუბრებისას იქნა განხილული და მოხდა მისი ნაწილობრივ კორექტირება და საბოლოო სახეს სასწავლო წლის დასაწყისისათვის მიიღებს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-

- I კლასი - კურიკულუმში არ არის სამივე თემატური ბლოკი დაფარული;
- II კლასი - წარმოდგენილია თავფურცელის ძველი ფორმა და მომავალში მოხდება მისი კორექტირება;
- III კლასი - ცნებები და ქვეცნებები არ უკავშირდება კომპლექსური დავალების პირობას, სხვა ბლოკებში მხოლოდ თემა და ქვეცნებებია შეტანილი;
- IV კლასი - თემატური ბლოკები არ არის მითითებული ;
- V კლასი - კომპლექსური დავალების შინაარსი და თემატური ბლოკი არ უკავშირდება ერთმანეთს და დავალება უფრო მეტად ნაბიჯის აქტივობაა, ვიდრე კომპლექსური დავალება.
- VI კლასი - თემატურ ბლოკს არ შეესაბამება თემები და საკითხების გრაფაში გაკვეთილის თემებია მითითებული

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სექტემბრამდე დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები. მათ აგრეთვე ისაუბრეს სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, გამოფენები, ღონისძიებები და სხვ.) რაც შესაძლებლობას გავძლევს დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა**

- ✓ ტექნოლოგიები

შემუშავებული კურიკულუმები მეტწილად ფარავს ყველა სამიზნე ცნებას, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარების გზა. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საგნის კურიკულუმში, ყველა თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა, სადაც თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება არის დამუშავებული: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ჯანსაღი ცხოვრების წესი. კურიკულუმებში კარგად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალები ითვალისწინებს გლობალ ფუნქციური უნარების განვითარებას: მოქალაქეობას, კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობას.

2. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები; ბ) შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა პირობებიც მოდიფიცირებულია და მორგებულია კლასის საჭიროებასა და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებებით სწავლება, მათი აზრით, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; გ) აღნიშნავენ, რომ ყოველ გაკვეთილზე იყენებენ გამარტივებულ, დამაზუსტებელ შეკითხვებს, განსაკუთრებით რთულ დავალებებში კი გამოყოფენ ეტაპებს, რომლებსაც მოსწავლე თანმიმდევრულად უნდა მიჰყვეს; დ) მოწოდებულია ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ჩართონ ისინი აქტიურ სასწავლო პროცესში.
მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.

✓ მათემატიკა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. პედაგოგებს აქვს დავალებათა საჭიროებისამებრ დიფერენცირების გამოცდილება სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მე-2 კლასში ჩაატარებულ გაკვეთილზე „პერიოდული მიმდევრობები“ ,გამოყენებული იყო დიფერენცირებული დავალებები (წარმოდგენილია სურათები). დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. აქვე, ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი წარდგენილ განაცხადი და ასევე ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან არის დასტური იმისა, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, იძლეოდა მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას. ამისთვის მასწავლებლები იყენებენ ,,გასასვლელ ბილეთებს'', სადაც მოსწავლეები აკეთებენ რეფლექსიას. ეს კი მასწავლებელს აძლევს მასალას დაადგინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები, საჭიროებები და ინტერესები.სკოლას წარმოდგენილიაქვს კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, რომლის თანახმადაც კვლევა ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი ისგ - ების საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ცდილობენ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაწერილი კომლექსური დავალების გეგმითა და კათედრის წევრებთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მრავალფეროვან რესურსს ; მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებისთვის მეთოდებს , ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის , შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას. ხორციელდება სასკოლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, შესაძლებლობის ფარგლებში.ყოველივე ზემოთთქმულიდან იკვეთება, რომ კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დამყარებული სამომავლო ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები,რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული, პირველი და მეორე უცხო ენების, საგნობრივი სტანდარტების, სამიზნე ცნებების დამუშავების დროს,სასწავლო პროცესი უნდა ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; დიფერენცირება შესაძლებელია მოხდეს მრავალი მიმართულებით, მაგ: დიფერენცირება სასწავლო შინაარსის, მოსწავლეებისთვის მიცემული დავალებების და სხვა. სკოლა, თავის განაცხადში, მიუთითებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, ითვალისწინებს გარემოსა და სტრატეგიების დიფერენცირებას, რომლებიც აისახება საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, მეორე უცხო ენის მაგალითზე, აგრეთვე ადაპტირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, პირველი უცხო ენის მაგალითზე. ეს დოკუმენტები, მკაფიოდ მიუთითებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში გავრცელდება დაწყებით საფეხურზეც. ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების, კურიკულემები შეეხება მომავალ სასწავლო წელს, ბუნებრივია, სკოლა ზუსტად ვერ გაწერს კონკრეტულ კლასებში, რა ტიპის დიფერენცირების საჭიროება დაუდგება, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირველი და მეორე უცხო ენების სწავლების პროცესში სკოლა გამოიყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს საჭირო მიმართულებით.

✓ ესთეტიკური აღზრდა

მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებაში და ამ კუთხით ბევრს მუშაობენ, მოიყვანეს მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან. ისაუბრეს იმაზეც თუ რა უნდა გაუმჯობესდეს მომავალში ამ მიმართულებით. მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო და მოდიფიცირებულ რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვთ ინდ. გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.

- ✓ ტექნოლოგიები

სკოლას სასწავლო პროცესში გათვალისწინებული აქვს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, შედეგად სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, რაც სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული აქვთ მეთოდოლოგიურად. ასევე გასაუბრებისას აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ მუშაობის პროცესში უწევთ დავალების ადაპტირება - გართულება, ან გამარტივება, რათა დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე, დიფერენცირებული მიდგომით მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- ✓ სახელმწიფო ენა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების საფეხურის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში, რომელშიც ნაჩვენებია კონკრეტული დავალების მოთხოვნების კავშირი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. რუბრიკები არ არის წარმოდგენილი ყველა კლასისთვის, მათ შორის არც V-VI კლასებისთვის, მოცემული კი საბაზო საფეხურზე დაგეგმილი ერთ-ერთი კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დავალების (მონოლოგის დაწერა მ. ჯავახიშვილის ,,ეშმაკის ქვის“ მიხედვით) განმავითარებელი შეფასების რუბრიკაა, თუმცა მასწავლებელთა უკუკავშირი ცხადყოფს, რომ ამ გამოცდილების გადატანა სხვა საფეხურის და კლასის შეფასების დროსაც შეუძლიათ. პირველ ეტაპზე კათედრამ ატვირთა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არ ჩანდა კრიტერიუმების თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორებთან კავშირი, თუმცა ვიზიტის მეორე დღეს, რჩევის საფუძველზე, მასწავლებლებმა ამ პრინციპით შედგენილი 1 რუბრიკა წარმოადგინეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა უკუკავშირის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

- ✓ **მათემატიკა**

მათემატიკის კათედრას წარმოდგენილ კურუკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ, ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები.
როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კერძოდ, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია და შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული) გვიჩვენებს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა განახორციელონ მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.რაც შეეხება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს მე-5 კლასის მეორე სემესტრსა და მე-6 კლასში, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა იტოვებს შეფასების I სამკომპონენტიან მოდელს,2022-2023 სასწავლო წელს შეფასება ხდებოდა კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებით. (შეფასების რუბრიკის ნიმუში თან ახლავს მე-12რესურს/ დოკუმენტს V-VI კლასის ბუნებისმეტყველებაში.) სკოლა, ასევე გეგმავს, 2023 წლის სექტემბრამდე, რამდენიმე თემის ფარგლებში თემის მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შეფასების რუბრიკების შექმნას. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკის, გაწერილი კრიტერიუმების (საგანი ,, ჩვენი საქართველო“- V კლასი, ,, მე და საზოგადოება“ – III, IV კლასები) წარმოდგენილი V კლასის კომპლექსური დავალების გეგმით საგანში ,, ჩვენი საქართველო“ , დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი, გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმებიც, გადმოთარგმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით ; ასევე კომპლექსური დავალების გეგმის ბოლო ნაწილში მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეაფასოს როგორც საკუთარი თავი, ასევე თანატოლი და მასწავლებელმაც გაიაზროს, რა პროცესი გაიარა მოსწავლემ, გამოკვეთოს მისი ძლიერი და სუსტი მხარე და მისცეს საჭირო უკუკავშირი. ჩანს, რომ სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს, კერძოდ, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებსს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. წარმოდგენილი მასალები მიემართება ამ ამოცანების შესრულებას და ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. მოცემული მასალების ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ კათედრას აქვს მზაობა შეფასება მიმართოს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება უნდა მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ, პირველ და მეორე უცხო ენების, დაწყებითი საფეხურის კლასების, კურიკულუმებში, განსაზღვრულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, სამიზნე ცნებების სახით, რომელთა მიღწევასაც სკოლა გეგმავს შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალებების მეშვეობით. კურიკულუმებში, სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები. სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. რუბრიკები წარმოდგენილია პირველი უცხო ენის მაგალითზე, თუმცა, ავტორიზაციის პროცესში, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოირკვა, რომ შეფასების რუბრიკები გამოიყენება მეორე უცხო ენის სწავლების პროცესშიც. რუბრიკები მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, ვინაიდან მათში, შეფასების კრიტერიუმების სახით, წარმოდგენილია უცხო ენების სატნდარტების სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, შესაბამის შედეგებთან ერთად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომლის თანახმადაც მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელ დავალებებში, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს იყენებს კომპლექსური დავალებების შესაფასებლად, თუმცა, როგორც სკოლა მიუთითებს, ამას არ აქვს სისტემური ხასიათი, რადგან მასწავლებებლები სემესტრის განმავლობაში ერთ კომპლექსურ დავალებას ახორციელებენ.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია **N1 მოდელი.** მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს ჰქონდათ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში, თუმცა შეხვედრაზე წარმოგვიდგინეს და ასევე მოგვაწოდეს მეორე დღისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისათვის. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებისათვის 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **ტექნოლოგიები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ისინი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ სპორტი

მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და აქვთ წარმოდგენილი რამდენიმე შეფასების რუბრიკა - ფეხბურთის, კალათბურთის და ტანვარჯიშის. განმავითარებელი შეფასება აღწერს თითოეული მოსწავლის წინსვლას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მასწავლებლების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

✓ **სახელმწიფო ენა**

კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისიწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ როგორც კათედრამ ვიზიტის დროს აღნიშნა, 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმში შეიტანეს მხოლოდ ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც მათ წარმატებულ წინარე გამოცდილებას ეფუძნება გამოიწვია რა მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და ჩართულობა. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით მოცემულ ეტაპზე არ წარმოუდგენია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, მაგრამ იკვეთება, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, რაც გამოიხატება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება-გაანალიზებაში, პირადი პრაქტიკის გაზიარებასა და ტიპური ხარვეზების გამოკვეთასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში. კათედრა აგრძელებს ამ მიმართულებით პროცესის გაანალიზებას, რათა სრულყოს კურიკულუმი.

✓ **მათემატიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული გამოცდილება, კერძოდ, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი. სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა, რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მესამე კლასი, კომპლექსური დაავლება“ ტანგრამი“). ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სასწავლო პროცესი, მოწოდებული დოკუმენტაცია, კერძოდ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე ის ფაქტი, რომ სკოლა 2019 წლიდან ჩართული ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ მათ მიერვე შექმნილი კომპლექსური დავალებები,ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმის შემუშავება-დაგეგმვის პროცესში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებას . შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა წარმოდგენილი კომპლექსური დავალების გეგმა, ასევე ბარათი, მშობლის უკუკავშირის და მასწავლებლის თვითშეფასების, მოსწავლის თვითრეფლექსიის საშუალებით ხდება დაგეგმილ/განხორციელებული პროცესის გაანალიზება, გადაგეგმვა, მორგება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. კერძოდ, მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებას: სასწავლო პროცესის მართვის, სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანზე ორიენტირების, შეფასების, რესურსების მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომის, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინების მიმართულებით. სწორედ მოცემული თვითშეფასების ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი მოხდეს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა. ჩანს, რომ სკოლას აქვს ფრაგმენტული გამოცდილება ამ კუთხით, კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ ვერბალურად, რაც არ არის გაფორმებული დოკუმენტურად, სკოლა გეგმავს, რომ მსგავს გაზიარებებს მიეცემა ოფიციალური სახე, შეიქმნება წინარე გამოცდილებათა დოკუმენტალური ანალიზი რაც დაეხმარება მათ უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილების ანალიზი, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევების გათვალისწინებას, მომდევნო სასწავლო წლის კურუკულუმის შედგენის პროცესში. დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს წინარე გამოცდილების ანალიზი. მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. აღნიშნულის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ კათედრა შეიმუშავებს ახალ კომპლექსურ დავალებებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის და მოახდენს 2022-2023 წლის კომპლექსური დავალებების ანალიზს. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობის დროს, საკითხების შერჩევა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია, მიუთითებს კურიკულუმის შემუშავების, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება უცხო ენების საგნობრივ ჯგუფზეც.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ, სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაიგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები ხშირად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

✓ **ტექნოლოგიები**

დაგეგმვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მასზე დაყრდნობით აპირებს სწავლებას. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ **სპორტი**

საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას, მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წინარე გამოცდილებას. მასწავლებლები კათედრის შეხვედრების დროს სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

მათემატიკა

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის პორტფოლიო;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნის: მე და საზოგადოება და ,, ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის ჩარჩოები “.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- საგნის ,,ჩვენი საქართველო “ მე-5 კლასის განხორციელებული კურიკულუმი (კომპლექსური დავალების გეგმა და ბარათი) ;
- სასკოლო პროექტები;
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (განმავითარებელი კომენტარები);
- ინდ. სასწავლო გეგმები.

უცხოური ენები

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი ;
- კომპლექსური დავალების ანგარიში ;

ესთეტიკური აღზრდა

- თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

ტექნოლოგიები

- კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

სპორტი

- კურიკულუმი;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

✓ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ კურიკულუმში სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. გაზიარებულია პროექტული სწავლების გამოცდილებაც, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **მათემატიკა**

ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. რადგან მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროცესის სრულად დანახვა, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, ზოგადად ხერხდება, რაც არ გამორიცხავს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. ასევე სასწავლო და საწრეო მუშაობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (მაგ. პროექტი V-VI კლასები„სად, რა, როდის“) , არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებით საფეხურზე შესრულებული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუ კათედრის ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მათ აქვთ მცდელობა და მზაობა მოსწავლე იყოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართული და ავტონომიურობის განცდის უნარის მქონე , ცენტრალური სუბიექტი.ასევე გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი როლიც სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ ,შექმნან ორგანიზებული მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილია როგორც III და IV კლასების კურიკულუმის ჩარჩოები საგნებში ,, მე და საზოგადოება და V და VI კლასების ,,ჩვენი საქართველო“, ასევე V კლასში დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი დოკუმენტები საგანში ,, ჩვენი საქართველო“ , სასკოლო პროექტები, საიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის განხორციელდეს ისეთი აქტივობები, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტები კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

დაგეგმილი კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ინტერესები და იგი მოაზრებული იყოს ცენტრალურ ფიგურად. მოსწავლის ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები მოსწავლის ცნობიერებაში ააქტიურებს ისეთ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დაკავშირებულია მის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. პირველი და მეორე უცხო ენების მაგალითზე, დაწყებით საფეხურზე, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმები, რომლებშიც ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, უცხო ენების საგნობრივ კურიკულიკულუმებში მოცემული, კომპლექსური დავალებების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას უცხო ენების შესწავლის პროცესში. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას, უცხო ენებში, განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი. სკოლას ასევე განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები კლიმატის ცვლილებებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩანს უცხოური ენების კათედრის თანამონაწილეობა. ზემოთ აღნიშნული ფაქტები, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით, სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე მიანიშნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ცდილობენ მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლამ კითხვარში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდორულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები.
ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

✓ **ტექნოლოგიები**

სასწავლო პროცესი შემუშავებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებენ მზაობას კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით.
სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ **სპორტი**

კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას იძლევა. ამის ნათელი მაგალითია ნიმუშად წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ლაშქრობა.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **სახელმწიფო ენა**

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

✓ **მათემატიკა**

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს , რომ მასწავლებლები კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ, გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება , მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს , ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს ინდიკატორთან შესაბამისობას.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. ასევე კურიკულუმში თემაში არსებული საკითხები და ქვესაკითხები ლოგიკურ კავშირს ქმნიან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მოხდეს ცოდნის კონსტრუირება, ნაცნობ, არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, რომელიც წარმოდგენილია როგორც სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში III და IV კლასების საგნებში ,, მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების ,,ჩვენი საქართველო“, კომპლექსური დავალების გეგმის და ბარათის ანალიზის საშუალებით, იძლევა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურების შესაძლებლობას. სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებში მასწავლებლებს შერჩეული აქვთ საკითხები, არის მოსწავლისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების პირობაც მოცემულ კურიკულუმებში ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა დაა.შ. დაგეგმილი პროცესის პირველი აქტივობაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა ასევე სამიზნე ცნება, რომელიც უნდა დამუშავდეს შერჩეული საკითხის ფარგლებში, კერძოდ, მისი მკვიდრი წარმოდგენები ისეა ჩაშლილი, წინარე ცოდნის გააქტიურებიდან ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

მოსწავლის წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმა, ამ მიზნის მისაღწევად, თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ, დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხო ენების კურიკულუმებში, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებზეც მოსწავლეები სამომავლოდ იმუშავებენ. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ გააკეთონ გარკვეული ანალოგია და შექმნან საინტერესო პროდუქტები (მაგ: დაამზადონ პოსტერები, ვიდეორგოლები და სხვა). კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს, მოსწავლეები ახალ ცოდნას წინარე გამოცდილებას უკავშირებენ. სკოლას, უცხო ენებში, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებების მატრიცები, მათში ჩადებულ მთელ რიგ საკვანძო შეკითხვებთან ერთად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დააფუძნოს ახალი გამოცდილება. სკოლას, კომპლექსურ დავალებებთან ერთად, ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასწავლო პროექტები. ეს ყველაფერი, კონსტრუქტივისტული სწავლების, სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე მიანიშნებს. რაც შეეხება თემატური დაგეგმვის პრინციპს, ეს საკითხი სკოლას ნაკლებად აქვს დანერგილი, და როგორც საკუთარ განაცხადში მიუთითებს, ყველა სასწავლო თემასთან მიმართებით არ ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები. აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესებას კი სკოლა სამომავლოდ გეგმავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

✓ **ტექნოლოგიები**

სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ **სპორტი**

კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ეს ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, სადაც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

✓ **სახელმწიფო ენა**

კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელთა საეტაპო აქტივობებიც და წარდგენის ეტაპიც გულისხმობს იმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სისტემატურად უსავამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მათ მიღწეული წარმატებისა თუ ხარვეზის გაანალიზებაში დაეხმარებათ(მაგალითად, როგორ ამოიცანი? როგორ მიხვდი? რას დაეყრდენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას და ა.შ); ამასთან, აძლევენ დეტალურ უკუკავშირს იმასთან დაკავშირებით, რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რამ შეუშალა ხელი, როგორ შეიძლება გაუმკლავდეს ხარვეზებს, რაც, მათი აზრით, წაახალისებს მეტაგოკნიტურ პროცესს მოსწავლის გონებაში.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას . საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ისეთი აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს სწავლის სტრატეგიებზე, სამოქმედო გეგმაზე, თვითშეფასებაზე, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას. მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის კომპლექსური დავალების პირობის მესამე ნაწილი - მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოები არასრულ ინფორმაციას იძლევა, იმის შესახებ თუ როგორ მოხდება მომავალში მოსწავლეებში სწავლა-სწავლის კომპენტენციის განვითარება,მაგრამ ამავე საფეხურზე წლის განმავლობაში განხორციელებული ორი პროექტი: ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“ და ,,გარემოს დაცვა - გლობალური დათბობა“ იძლეოდა როგორც თანამშრომლობითი სწავლების საშუალებას, პროცესში აქტიურ ჩართვას, ასევე მოსწავლეებში შესრულებული დავალების ანალიზის უნარის განვითარებას: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ ,გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა,როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს,რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. ამასთან ერთად , ინტერვიუ პედაგოგებთან , იძლევა გარკვეულ მიგნებებს ,რომლის მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ყურადღებას დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში: სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში III და IV კლასების საგნებში ,, მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების ,,ჩვენი საქართველო“, და კომპლექსური დავალების გეგმაში, სასკოლო პროექტებში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა - როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო - ემოციური მართვა. საკვანძო შეკითხვები, რომლებიც მოცემულ მასალაშია, იქნება ეს საფეხურის თუ თემის, სწორედ სწავლის-სწავლის სტრატეგიებია. სწორედ ამ შეკითხვებზე აქცენტირებით წარმართავს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კურიკულუმში, ,, ჩვენი საქართველოს „ V კლასის კომპლექსური დავალების გეგმაში, ისეთი აქტივობები ჩანს, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებაზე დაყრდნობით, ააქტიურებს მას, წაახალისებს და აღუძრავს ინტერესს, ბოლოს კი მსჯელობები მოსწავლის გამოცდილებაზე, მის ინტერესებზე, გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე და მისი დასკვნების ვალიდურობაზე, სწორედ რომ წახალისებს მეტაკოგნიციას. მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე ჩანს რომ შესაძლებელია დაგეგმილი პროცესის ბოლოს. . მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება/ მზაობა და შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან

✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამჭოლი უნარები, რომელთა შორის ერთ-ერთი არის სწავლის სწავლის კომპტენცია. ეს გულისხმობს, მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიასა და საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა-მონიტორინგს. საკუთარი სწავლის გააზრების, ანუ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის, ეფექტურ საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები მოაზრება. პირველი და მეორე უცხო ენების, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას. სკოლას აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწყებით საფეხურზე და წარმოდგენილი აქვს რამდენიმე მატრიცა თვალსაჩინოებისთვის. ამ მტკიცებულების შესაწვლის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხო ენების სწავლების პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული და ხელს უწყობს მას გაიაზროს, განხორციელებული სამუშაოს დროს რა სტრატეგიები გამოიყენა, რა გაუადვილდა, რა იყოს ის გზა, რომელიც დავალების შესრულების დროს დაეხმარა. ასევე სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები, რომლებშიც ჩანს უცხო ენების კათედრის ჩართულობა. სასწავლო პროექტებში, როგორც სკოლა მიუთითებს, მოსწავლეთა ჩართულობა მაღალი იყო. შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების დროს, სკოლა ყურადღებას მოსწავლის მიერ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე გაამახვილებს, რისი თქმის საფუძველსაც სკოლაში არსებული გამოცდილება იძლევა.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმში და ინტერვიუზეც ნათლად არ გამოიკვეთა სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე.

- ✓ **ტექნოლოგიები**

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისათვის შეთავაზებულია ისეთი აქტივობები, რომელიც მას დააფიქრებს სწავლის პროცესზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

- ✓ **სახელმწიფო ენა**

კათედრის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი საკითხების მაგალითზე, წარმოაჩინეს, როგორ იყენებდნენ დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ შეკითხვებს იმისთვის, რომ მოსწავლეებს სიღრმისეულად შეესწავლათ საკითხი.

- ✓ **მათემატიკა**

სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-4 კლასში კომპლექსური დავალება „საქართველოს რეგიონები“ განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ პროცედურული ცოდნის გამოყენება (მიმატება, გამოკლების მოქმედებების შესრულება) და ამ ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება (რიცხვების შედარების ცოდნა საქართველოს რეგიონების მოსახლეობის მიხედვით შესადარებლად). ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და სამოქმედო გეგმები ადასტურებს, შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში III და IV კლასების საგნებში „ მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების „ჩვენი საქართველო“, საგანი „ ჩვენი საქართველო „ V კლასის კომპლექსური დავალების გეგმა და ბარათი,) იკვეთება აქცენტი ცოდნის სამ კატეგორიაზე , როგორც სამიზნე ცნებების დამუშავების კუთხით, ასევე კომპლექსური დავალების პირობაში ჩადებული შეფასების კრიტერიუმების საშუალებით, რომლითაც არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი, ასევე საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების ფარგლებში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

სასწავლო პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული ცოდნის სამი კატეგირიის განვითარებაზე: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული. თანამედროვე სამყაროში, ეფექტურად მოქმედებისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა. საჭიროა მოსწავლეს შეეძლოს ცოდნის მოქმედებაში გადატანა და მისი გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. ამ შემთხვევაშიც, კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტებში მოსწავლეთა მონაწილეობა არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები, დაწყებით საფეხურზე, ითავლისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გაპრაქტიკებას, უცხო ენების შესწავლის პროცესში. სკოლას, ამ მხრივ, გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რის დამადასტურებლადაც მას წარმოდგენილი აქვს უცხო ენების დაწყებით საფეხურზე განხორციელებული, კომპლექსური დავალებების მატრიცები და სასწავლო პროექტები. როგორც სკოლა აღნიშავს, არსებული პრაქტიკის მიუხედავად, უფრო მეტად დეკლარატიული ცოდნის განვითარება ხდებოდა, სამომავლოდ კი, სასწავლო პროცესის წარმართვა მეტი კომპლექსური დავალებებით იგეგმება.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებლებმაც სწორედ ეს აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით.

- ✓ **ტექნოლოგიები**

სკოლას გააზრებული აქვს ცოდნის სამივე კატეგორიის მნიშვნელობა და აუცილებლობა სასწავლო პროცესში, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი გეგმავს კომპლექსური დავალებების განხორციელებას, რომელიც თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის მიღწევაზე. სკოლა **აკმაყოფილებს** ინდიკატორით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია რესურსები, რომლებიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, რომ შეიძინონ ფაქტობრივი ცოდნა - დეკლარაციული ცოდნა. შემდეგ მოსწავლე როდესაც ასრულებს დავალებას, მოსწავლეს უვითარდება პროცედურული ცოდნა და დავალების შესრულების ბოლო ეტაპზე მან უკვე იცის, თუ როგორ შეასრულოს სხვადასხვა პირობა და საკითხი მრავალმხრივად აქვს დამუშავებული, ანუ მოსწავლე უკვე შეძლებს თემის ფარგლებში შეძენილი ცოდნის უნივერსალურად გამოყენებას, ვითარდება პირობისეული ცოდნა.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

- ✓ **სახელმწიფო ენა**

მოსწავლის მხრიდან ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა ჩანს იმაში, რომ კურიკულუმში თემის ფარგლებში განსხვავებული საგნობრივი საკითხები შეისწავლება, რომელთაც გაერთაინებულად მოსწავლე საბოლოო პროდუქტში წარმოაჩენს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ზემოაღნიშნულს იმით მიაღწევენ, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეარჩიეს (და სამომავლოდაც შეარჩევენ) იმგვარი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შემქნაზე.

- ✓ **მათემატიკა**

სასწავლო პროცესის დანახვა საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ზოგადად ხერხდება, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ: კომპლექსური დავალებები, არაფორმალური აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც მართალია არ არის მყარი არგუმენტი,რომ ეს წარსულში მართლაც ხორციელდებოდა, მაგრამ მომავალი სასწავლო გეგმის პროექტი და პედაგოგთა მზაობა იძლევა დასტურს, რომ მომავალში დაიგეგმება ისეთი აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პირობისეული ცოდნის მიღებასა და პრობლემის გადაჭრის და სხვა კომპონენტური უნარის გამომუშავებას. შესაბამისად,სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (კურიკულუმის ჩარჩოებში III და IV კლასების საგნებში „ მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების „ჩვენი საქართველო“, „კომპლექსური დავალების გეგმა და ბარათი საგანში „ ჩვენი საქართველო“) ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას, უცხო ენების საგნობრივ ჯგუფში შემუშავებულ კურიკულუმებში კომპლექსური ბუნების დავალებები წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გააჩნია კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების გამოცდილება, რომლებიც დასტურდება მის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაციით.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ ეს მიღწევადია.

- ✓ ტექნოლოგიები

სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული და უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგნიზება და ურთიერთდაკავშირება, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კომპლექსური დავალების განხორციელება იგეგმება ისე, რომ მოსწავლეებს უბიძგებს ცოდნის გააზრებასა და დამახსოვრებაში, ასევე ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. კურიკულუმში ისეა კომპლექსური დავალებები მოცემული, რომ შესაძლებელი იყოს, მოახდინონ სხვა საგანთან ინტეგრირება და ამით ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები.

მათემატიკა

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის პორტფოლიო;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნის: მე და საზოგადოება და ,, ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის ჩარჩოები ;
- საგნის ,, ჩვენი საქართველო“ მე-5 კლასის განხორციელებული კურიკულუმი (კომპლექსური დავალების გეგმა და ბარათი) ;
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (საგნის ,, მე და საზოგადოება“ და ,, ჩვენი საქართველო“ განმავითარებელი შფასების რუბრიკა/კომენტარები);
- სასკოლო პროექტები.

უცხოური ენები

- სკოლის განაცხადის ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხო ენების კურუკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ;
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი .

ესთეტიკური აღზრდა

- თვითშეფასების კითხვარი.

ტექნოლოგიები

- კურიკულუმები;
- კურიკულიმებში მითითებული კონტექსტ მაგალითები.

სპორტი

- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

✓ **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. საწყის ეტაპზე კათედრამ კურიკულუმი წარმოადგინა მცირე ხარვეზებითა და უზუსტობებით (აღრეული იყო საფეხურის სამიზნე ცნებები), თუმცა ვიზიტისას თავად მივიდნენ დასკვნებამდე და მეორე დღეს წარმოადგინეს მეტად სრულყოფილი ვერსია, რაც მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ მასწავლებლებს აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ.

✓ **მათემატიკა**

კათედრის მიერ შემუშავებულ დაწყებითი მათემატიკის კურიკულუმებში, კომპლექსური ბუნების დავალებებში და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის. ვლინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში, მაგალითად მე-3 და მე-4კლასების კურიკულუმებში, კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს,საგნობრივ საკითხებს (რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.შესაბამისად,სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნებში ,, მე და საზოგადოება „ და ,, ჩვენი საქართველო“ სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები, რომლებსაც მიემართება ასევე შერჩეული კომპლექსური დავალების პირობები ორივე საგანში და დაგეგმილი პროცესი V კლასში (საგანი ,,ჩვენი საქართველო“) . ცოდნისკენ სვლა კი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს კურიკულუმებში და დაგეგმილ პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს შორის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება/ მზაობა და შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხო ენების სტანდარტში, სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება; სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, დაწყებითი საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითადად სრულყოფილად არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, ხოლო მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად, ძირითადად განვრცობოლია იმ თავებში, რომლებშიც მასწავლებელს მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მესამე კლასი, პირველი უცხო ენა) ყველა თავის გასწვრივ არ იყო მითითებული სამიზნე ცნებები, თუმცა აღნიშნული ხარვეზი სკოლამ გამოასწორა ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოადგინა განახლებული კურიკულუმი. სასწავლო თემები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, უცხო ენებისთვის გათვალისწინებულ სარეკომენდაციო თემებს. სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი კარგად არის დანახული. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები, რომლებშიც სათანადოდ არის ჩაშლილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და რესურსები. ეს ყოველივე კი მიუთითებს, რომ სკოლას გააჩნია სამიზნე ცნებებისა და საგნობრივი საკითხების ერთმანეთთან დაკავშირების გამოცდილება, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ სკოლა წარმატებით განახორციელებს მის მიერ დაგეგმილ სასწავლო კურიკულუმს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ეს კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, როდესაც მათ ისაუბრეს დაგეგმილ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებზე.

- ✓ **ტექნოლოგიები**

კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში გათვალისწინებულია სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით სკოლას აქვს მზადყოფნა. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების საგნობრივ საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართება. როგორც გასაუბრებისას დადგინდა, სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო თემები და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, სკოლა - ეს მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული და ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ გარემოს.

- ✓ მათემატიკა

ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები.მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე(მაგალითად, პროექტი-“რა, სად, როდის“ V-VI კლასები). ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმა ბუნებისმეტყველების სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებით. მაგალითად:მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმები, რომლებშიც თემები ძირითადად მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში ,ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ- კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. შესაბამისად,სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში III და IV კლასების საგნებში ,, მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების ,,ჩვენი საქართველო“, საგნობრივი კონტექსტები ისეა შერჩეული, რომ ქმნის მოსწავლის საჭიროებების და მისი პიროვნული თუ სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. საკითხები, ასევე აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. მოსწავლე ჩამოყალიბდება პიროვნებად.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს, აუცილებელია მოსწავლეს შევთავაზოთ საგნობრივი კონტექსტი, რომელიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენის საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილია მთელი რიგი სასწავლო თემები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს (მაგალითად: ჩემი ოჯახი, ჩემი სახლი, გარეგნობა, ტანსაცმელი, ცხოველები, მუზეუმი და სხვა). საგნობრივი კურიკულუმით გაწერილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელებასაც სკოლა სამომავლოდ გეგმავს. კომპლექსური ბუნების დავალებები, ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ზრდას უწყობს ხელს.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები მაგ: გამოფენები, სხვადასხვა დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება.

- ✓ **ტექნოლოგიები**

მოწოდებულ კურიკულუმებში ჩანს შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლის ფსიქოსოციალურ განვითარებაზე. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობითი და კომუნიკაციის უნარები.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.

- ✓ **მათემატიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირებისეულ ცოდნამდე. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, სხვა მრავალი ინსტრუმენტის მსგავსად, კათედრა იყენებს ინსტრუმენტს „გასასვლელი ბილეთი“, მოსწავლეთა თვითშეფასებას. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

  სკოლას წარმოდგენილი აქვს დაკვირვების რუბრიკის ნიმუში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად,სადაც ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. შესაბამისად,სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

განმსაზღვრელი და განმვითარებელი შეფასების რუბრიკებით საშუალებით (სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რუბრიკები) დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს , და ა.შ. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, სადაც იკვეთება სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეალიზებას საშუალება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმა, გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა, ასევე მიუთითებს, რომ საჭიროა მოსწავლის უნარების ჰოლისტური შეფასება, რაც საგნობრივ-აკადემიურ მხარესთან ერთად, მოსწავლის განვითარების სხვადასხვა ასპექტს (ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და სხვა) მოიცავს. ავტორიზაციის პროცესში, სკოლამ დამატებით წარმოადგინა შეფასების ზოგადი რუბრიკები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს) და სხვა. სკოლას, პირველი უცხო ენის მაგალითზე, წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მასთთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენები მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია, ჰოლისტური შეფასების სრულყოფილი მეთოდოლოგია სკოლის უცხო ენების კათედრაზე შემუშავებული არ არის, მიუხედავად ამისა, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები პერიოდულად აწარმოებენ სხვადასხვა ტიპის და შინაარსის კვლევებს. აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა.

- ✓ **ტექნოლოგიები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი მოტივაცია, დაეხმარონ მოსწავლეებს განვითარებაში. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ **სპორტი**

სწავლა სწავლების პროცესი არის თანამშრომლობით ურთიერთობაზე დაფუძნებული და არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები - ფეხბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშის მორგებულია კურიკულუმს, შეფასების ინდიკატორები განსაზღვრულია სამიზნე ცნებების მიხედვით, აქედან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმები სწორადაა დაკონკრეტებული საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკების შექმნაში მოსწავლეებიც არიან ჩართული და მათ წინასწარ იციან რა კრიტერიუმებით შეფასდებიან სხვადსხვა დავალების შესრულებისას.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

✓ **სახელმწიფო ენა**

სასკოლო სასწავლო გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

✓ **მათემატიკა**

სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის გამოცდილება და 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი ადასტურებს ,რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.;შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნის: „მე და საზოგადოება“ და ,, ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის ჩარჩოების, საგნის ,, ჩვენი საქართველო“ მე-5 კლასის განხორციელებული კურიკულუმის (კომპლექსური დავალების გეგმა და ბარათი) , მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტების (საგნის ,, მე და საზოგადოება“ განმავითარებელი შფასება/კომენტარები, განმსაზღვრელი და განმვითარებელი შეფასების რუბრიკები) საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებელი შეფასებას შეიმუშავებს გრძელვადიანი მიზნის მიღწევის (რა შედეგი/სამიზნე ცნება არის შეფასების ორიენტირი), ასევე პროცესის გასაზომად, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა და საერთო ჯამში შედეგების გასაუმჯობესებლად, შეფასების სამი კომპონენტის (საშინაო, საკლასო, შემაჯამებელი) გათვალისწინებით. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების პირობა, კომპლექსური დავალების გეგმითა და ბარათით ჩანს, რომ დაგეგმილი პროცესი იძლევა მიზნის მიღწევის , მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას შერჩეული სწავლა-სწავლების რესურსების და აქტივობების საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტებში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების პირობა და მოსწავლის მიერ შესაქმნელი სხვადასხვა პროდუქტი, რომლებიც მოსწავლის ფუნქციურ-კოპონენტური უნარებისა და უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარების (პრობლემის გადაჭრა, შეფასება და ა.შ.) განვითარების ხელშემწყობია. ასევე ჩანს, რომ ამ პროცესში მოსწავლეები ანხორციელებენ რეფლექსიას, აფასებენ საკუთარ ნამუშევარს და მონიტორინგი უწევენ სწავლის პროგრესს. სწავლის შედეგის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა შეფასების რუბრიკებში გაწერილი კრიტერიუმები. იკვეთება, რომ კრიტერიუმები ორიენტირებულია მასწავლებლის მიერ შერჩეული მიზნისკენ / სწავლის შედეგისკენ, აქედან გამომდინარე შეფასება არის ვალიდური, შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში სწორად არის შერჩეული, წარმოდგენილ კომპლექსური დავალების გეგმასა და ბარათში, შეფასების რუბრიკებში ჩანს , როგორ ფასდება მოსწავლეების ნამუშევარი და რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, რითაც შეფასება გამჭვირვალე ხდება. შეფასების წარმოდგენილი რუბრიკები კარგადაა გააზრებული და გაწერილი, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა შემფასებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ადვილად მიიყვანოს საერთო შეფასებამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. უცხო ენების კათედრას ასევე წარმოდგენილი აქვს რუბრიკები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ კომპონენტების შესაფასებლად. აღნიშნული რუბრიკების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას უცხო ენების სწავლების პროცესში. შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა რამდენიმე შეფასების რუბრიკა, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას.

- ✓ **ტექნოლოგიები.**

კომპიუტერული ტექნოლოგიების შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გთვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ითვალისწინებს ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეებისათვის წინასწარ არის ცნობილი. მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელს წინაწარ აქვს დაგეგმილი. იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ, რომ დადებითად შეფასდნენ.

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-052-ით დამტკიცებული შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაცი განახორციელოს სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში იგეგმება დირექტორის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში), კათედრების ხელმძღვანელების და ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობა.

ვერიფიკაციის განხორციელება იგეგმება სამ ეტაპად. ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე მოხდება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე განხორციელდება შეფასების პროცესზე დაკვირვება, რათა შეფასდეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. ვერიფიკაციის მესამე ეტაპზე განხორციელდება უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციისას არ განიხილება სკოლის ყველა მოსწავლის მტკიცებულება, მტკიცეებულბები შეირჩევა იმ რაოდენობით, რომ საგნის სწავლების ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია საგნის მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ - ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის რაოდენობრივი ზრდა. რისკ ფაქტორია მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი. ამრიგად სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში დაინერგება შეფასების ვერიფიკაციის სისტემა.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები არცერთ შიდამარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი არ აქვს, თუმცა სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას ვადები ინდიკატორთან შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-052 შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კურიკულუმის ჩარჩოები,
- 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნის: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - კურიკულუმის ჩარჩოები;
- შემაჯამებელი დავალების VII, IX კლასების ნიმუშები საგანში ,, ისტორია“;

უცხოური ენების

- საბაზო საფეხურის პირველი და მეორე უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ზოგადი რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები ;
  ესთეტიკური აღზრდა
- მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების კითხვარი.
  სპორტი
- კურიკულუმი ;
- კომპლექსური დავალება;
- შეფასების რუბრიკები .

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. მასწავლებლები დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი კულტურა, ხდება გამოცდილების გაზიარება. სასკოლო საზოგადოებასა და სკოლას შორის არის კარგი კომუნიკაცია. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. კლასის დამრიგებლებს მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმბი;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგბლო გეგმები;
- ინდგეგმები;
- მოსწავლის პირველადი მართვის მექანიზმი.

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში ასევე მუშაობს ლიდერ მასწავლებელთა ისტიტუტი.ლიდერ მასწავლებლები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს და გეგმავენ განვითარების გზებს. ამრიგად სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;
- კათედრების გეგმები და ქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი შესაბამისად იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. შესაბამისად სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, აკვირდება დამრიგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც დაკვირვება, ასევე შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი) ანალიზი, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დინამიკა, მეორადი მონაცემების ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.
ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები.

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვიტარების მეთოდოლოგია

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 23/06/2023 წ. N2-051 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (სამუშაო ვერსია). წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმი შემდგომ ვითარდება მშობლების და დირექციის აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნება სკოლის მისია და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული თემა, რომელზე მუშაობასაც გადაწყვეტს სკოლა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში გამოიხატება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად (მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს როგორი დავალებები მოსწონთ, რა ფორმით გადაცემულ ინფორმაციაა მათთვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი და შესაბამისად კურიკულუმში იცვლება საკითხები, მეთოდები, მიდგომები) კურიკულუმში ასახულ ცვლილებებში. მშობელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მშობელთა კრებებზე და სოციალურ ქსელში თიმსის ჯგუფებში გაზიარდება კომპლექსური დავალებები და მშობლის ბარათები. შეფასების რუბრიკები შემუშავდება მოსწავლეთა ჩართულობით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ეს კი უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორლაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარის, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა. მოწავლები მონაწილეობენ შეფასების რუბრიკების შემუშავებაში.
სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილობს სასკოლო საზოგადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება), ასევე კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო (კურიკულუმი თანხმდება სამეურვო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე) უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-051 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას, რადგან, ერთი მხრივ, წარმოჩენილია საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი, მეორე მხრივ, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის აგებას, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროცესში. სასწავლო თემები განსაზღვრულია იმგვარად, რომ ითვალისწინებს საბაზო საფეხურის მოსწავლეების ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგალითად, თანაგრძნობა და ემპათია, ადამიანის დანიშნულება, პიროვნება და ბრბო, სიცოცხლის საზრისი, სამშობლო და ა.შ). კონტექსტმაგალითების შერჩევის დროს გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ტექსტები. კონტექსტმაგალითებისა და თემების აზრობრივი კავშირის უფრო ლოგიკურად გამოსაკვეთად სასურველი იქნებოდა, კათედრას გრიფმინჭებული სახელმძღვანელოს სარჩევთან ერთად, ეხელმძღვანელა საგნობრივ სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თემებით, რაც ვიზიტის დროს მასწავლებლემა გაიზიარეს, აღნიშნეს, რომ კურიკულუმი ეტაპობრივად იხვეწება. რამდენიმე სასწავლო თემასთან ნაჩვენებია გრძელვადიან მიზნებთან, საფეხურის სამიზნე ცნებებთან კავშირი, მასწავლებლებმა მკაფიოდ და კონკრეტული მაგალითების საშუალებით ისაუბრეს, როგორ შეიძლება მათ მიერ დაგეგმილმა კომპლექსურმა დავალებებმა და სავარაუდო საეტაპო აქტივობებმა ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

✓ **მათემატიკა**

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის (VII-IX) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომლის ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო შედეგები და მოსწავლის პიროვნული განვითარება. წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინეტერესებს, წინარე ცოდნას და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.
დასტურდება შესაბამისობა ინდიკატორთან.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლას და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს გაანალიზებული საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი ადასტურებს. ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ამტკიცებს, იმ მოსაზრებას, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე იყოს აქტიური სუბიექტი და პროცესი მიმართული იყოს მის პიროვნულ განვითარებაზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

რადგან კომპლექსური დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის მოსწავლეებში ავტონომიის განცდას, იწვევს მათ ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ამუშავებას და იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. ყველა საბაზო, ბიოლოგიისა და ქიმიის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. გამონაკლისი იყო ფიზიკა, კერძოდ მე-8 კლასის ფიზიკის კურიკულუმი, სადაც ერთი თემა და შესაბამისი საკითხები მიმართული იყო ძველ სამიზნე ცნებაზე; ასევე ფიზიკაში ყველა საბაზო საფეხურის სავალდებულო თემები ვერ ფარავდა ყველა სამიზნე ცნებას. მიეცა რეკომენდაცია კათედრას და მეორე დღეს წარმოადგენილ იქნა ჩასწორებული სახით. ამიტომ , შეიძლება ითქვას,რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საბაზო საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილია საგნების: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, შემდგომი სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნებები, როგორც გრძელვადიანი მიზანი. წარმოდგენილია ასევე VII, IX კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები საგანში ისტორია, სასკოლო პროექტები, ინდ. სასწავლო გეგმები. მოცემული დოკუმენტების გაანალიზებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/სასწავლო შედეგი/მოსწავლის პიროვნული განვითარება წარმოადგენს, სადაც ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გეგმაში ეს ნათლად ჩანს. მოცემული დავალებები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები, რაც იწვევს მის ემოციურ კმაყოფილებას. ასევე შემუშავებული ისგ-ები ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად ჩართვას სასწავლო პროცესსა თუ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული არაერთი სასკოლო პროექტიდან ჩანს, რომ ასევე ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების სოციალურ ინტეგრაციას თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების, განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობისა და თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა/გამომუშავების კუთხით. სასკოლო პროექტები ჯანსაღი ცხოვრების, გარემოს დაცვის თემებზე ახდენს მოსწავლეთა პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარების უზრუნველყოფასა და მოტივაციის გაზრდას ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებით . ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში, კათედრის წევრებთან განხორციელებული ინტერვიუდან გამოვლინდა, რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარებისთვის იყენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, გაკვეთილზე დასწრებისა თუ კრიტიკული მეგობრის მეთოდის საშუალებით, ერთობლივად აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი გამოცდილება, ხედვა და მზაობა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

კურიკულუმი წარმოადგენს იმ მთავარ პროგრამას, რომელზე დაფუძნებითაც უნდა განხორციელდეს უცხო ენების შესწავლა საბაზო საფეხურზე. მნიშვნელოვანია, კურიკულუმი ხელს უწყობდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რისთვისაც იგი მეტ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს სწავლების პროცესს და მოსწავლეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს თავად იყვნენ მისი წარმმართველები. ამ მიზნის მისაღწევად, კურიკულუმი უნდა მოიცავდეს გძელვადიან მიზნებს, შუალედურ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის, პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში, გრძელვადიან მიზნებად სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი სამიზნე ცნებები, უცხოური ენების სტანდარტების მიხედვით, ხოლო შუალედურ მიზნებად სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელბასაც გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, მოიცავს ისეთ ფორმულირებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდასა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას. მოსწავლეებისთვის, კომპლექსური დავალების ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, იქნება ეს პრეზენტაცია, პოსტერი, ბუკლეტი და სხვა, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების გააქტიურებას. კურიკულიკულუმებში მოცემული, კომპლექსური დავალებების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს, უცხო ენების სწავლების პროცესი მოსწავლზე ორიენტირებით წარმათოს. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას უცხო ენებში განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ უცხო ენების მასწავლებლები, კომპლექსურ დავალებებს დაწყებითთან ერთად, საბაზო და საშუალო საფეხურებზეც ახორციელბდნენ. სკოლას ასევე განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები კლიმატის ცვლილებებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩანს უცხო ენების კათედრის თანამონაწილეობა.ზემოთ აღნიშნული ფაქტები, გვაფიქრებინებს, რომ სკოლა შეძლებს დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელების გზით, სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებით წარმართოს.

- ✓ ესთეტიკური აღზრდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ესთეტიკის კათედრის მასწავლებლების მიერ შერჩეული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, საზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ ისინი ცდილობენ აქტიურად დანერგონ კოპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებს. ისინი თავად არიან მუდმივი სწავლის და განვითარების პროცესში და სამომავლოდ კიდევ უფრო დახვეწენ კურიკულუმებს.

- ✓ **სპორტი**

საბაზო საფეხურზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა მასწავლებლის ჩართულობით შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. VII კლასის კურიკულუმის ჩარჩოში და ნაწილობრივ IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არ არის წარმოდგენილი ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, ასევე VIII კლასის კურიკულუმში არ არის გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები, თუმცა გასაუბრებისას დადგინდა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმილი კურიკულუმის სრულყოფა შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

- ✓ **სახელმწიფო ენა**

სასაწავლო წელი დაგეგმილია თემატური პრინციპით და პროცესი ფოკუსირებულია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. კერძოდ, დაფარულია სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი, რომელთა შინაარსიც პირდაპირ დაკავშირებულია ე.წ გლობალური თემების განხილვა-ანალიზთან. სასწავლო თემები უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს. ვიზიტის დროს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საკითხის განხილვისას, მასწავლებლებმა თემის ფარგლებში - ადამიანი საკუთარი არსის ძიებაში - ისაუბრეს, როგორ შეიძლება სხვადასხვა საგნობრივ ქვეცნებასთან ერთად დამუშავდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარი შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, მოქალაქეობა, ხასიათი და ნება; სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილებაც, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. პროექტების დაგეგმვა და განხორციელება თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების გამოვლენას მოსწავლის მხრიდან. ამასთან, კათედრის წევრების ზეპირი უკუკავშირის მიხედვით, ისინი აცნობიერებენ, როგორ შეიძლება სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნების შესრულების პარალელურად მოსწავლეებს განუვითაროონ გლობალურ-ფუნქციური უნარები, ამ უკანასკნელის მიღწევის გზად ასახელებენ საგანთა ინტეგრირებას (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება). შეიძლება დავასკვნათ, რომ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე ორიენტირება მასწვლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლების მიერ შედგენილი საბაზო საფეხურის (VII-IX) კურიკულუმები **სრულად** მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). სკოლა გეგმავს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სისტემატიურად დაინერგება მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, მოხდება შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზი/რეფლექსია და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები მოახდენენ მოდიფიცირებას. კომპლექსური ტიპის დავალებები, თავისი ბუნებით, მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივი კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. აქვე, უნდა აღინიშნოს , ისიც რომ კათედრას აქვს მზაობა წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება დაიფაროს. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის გააზრებული და გაწერილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხის საშუალებით სამივე საგანში (ისტორია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

გეოგრაფია, მოქალაქეობა) რიგ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, დაგეგმილი პროცესი იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები რომლითაც მოსწავლე სწავლობს ფორმალური თუ არაფორმალური სწავლის პროცესში. ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს ჩამოყალიბებული სამომავლო ხედვა, შესაბამისად მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჟოლი კომპეტენციები (მაკროცნება), რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენების**

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება), რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი უნდა იყოს. გლობალური უნარები მოსწავლის მრავლამხრივ განვითარებას უწყობს ხელს, რისითვისაც ეროვნული სასწავლო გეგმით კომპლექსური ბუნების დავალებები არის გათვალისწინებული. უცხო ენების, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების პირობები, აქედან გამომდინარე, სკოლა გეგმავს მოსწავლეები ისეთ აქტივობებში ჩართოს, რომლებიც მათგან მოითხოვს მაგალითად, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის წარმოჩენას, როგორც ეს გამომდინარეობს პირველი უცხო ენის, მერვე კლასის კურიკულუმის, ერთ-ერთი კომპლესური დავალების პირობიდან. მოსწავლეს მოეთხოვება დაამზადოს პოსტერი თემაზე „შეწყვიტე ძალადობა“, რომელიც პირდაპირ გადის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის (ერთ-ერთი გლობალური უნარი) გრძნობის განვითარებაზე მოსწავლეებს შორის. სხვა პირობები სხვა ფუნქციური უნარების განვითარებაზეა ორინტირებული.

კომპლექსური დავალებები, ისევე როგორც სასწავლო პროექტები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განვითარებას უწყობს ხელს. სკოლის განცხადის ფორმაზე თანდართული მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები ისეთ თემებზე, როგორებიცაა კლიმატის ცვილებები და ჯანსაღი ცხოვრების წესი. პროექტის განმხორციელებელ გუნდში, ერთ-ერთ მონაწილე მხარედ დასახელებულია უცხო ენების კათედრის წარმომადგენელი. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები. მოცემული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხო ენების სწავლების დროს, ფუნქციური უნარების განვითარებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლას მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალებები და პროექტული სასწავლო ღონისძიებები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც მას უკვე გააჩნია.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც გასაუბრებისას იქნა განხილული და მოხდა მისი ნაწილობრივ კორექტირება და კურიკულუმი საბოლოო სახეს სასწავლო წლის დასაწყისისათვის მიიღებს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-

· VII კლასი - არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობა, საკითხი არასწორადაა ფორმულირებული და რესურსების გრაფაშია განთავსებული. კომპლექსური დავალების პირობა არ უკავშირდება თემატურ ბლოკს. კორექტირებას საჭიროებს სამიზნე ცნებებიც.

· VIII კლასი - კომპლექსურის იდეა და სამიზნე ცნება არ მოდის თანხვედრაში;

· IX კლასი - არ არის თემატური ბლოკები მითითებული;

საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სექტემბრამდე დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები. მათ აგრეთვე ისაუბრეს სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, გამოფენები, ღონისძიებები და სხვ.) რაც შესაძლებლობას გავძლევს დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა;

- ✓ სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს. თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა, სადაც თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება არის დამუშავებული: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ჯანსაღი ცხოვრების წესი. შეთავაზებულია ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლეს უვითარდება გლობალური ფუნქციური უნარები.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- ✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები; ბ) შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა პირობებიც მოდიფიცირებულია და მორგებულია კლასის საჭიროებასა და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებებით სწავლება, მათი აზრით, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; გ) აღნიშნავენ, რომ ყოველ გაკვეთილზე იყენებენ გამარტივებულ, დამაზუსტებელ შეკითხვებს, განსაკუთრებით რთულ დავალებებში კი გამოყოფენ ეტაპებს, რომლებსაც მოსწავლე თანმიმდევრულად უნდა მიჰყვეს; დ) მოწოდებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ჩართონ ისინი აქტიურ სასწავლო პროცესში.
მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.

- ✓ **მათემატიკა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ, სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის წარმოდგენილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები (მაგალითად, IX კლასი კომპლექსური დავალება“ დისტანციურის სწავლის პროცესი და მოსწავლის მიერ კომპიუტერთან გატარებული დრო“).
ამ ინდიკატორში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე წარმოდგენილი კურიკულუმების მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.აქამდე სკოლას არ ქონდა სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოსწავლეებს შესთავაზოს მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალება, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან, სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი ისგ - ების საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ცდილობენ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდეგნილი კურიკულუმის ჩარჩოების, შემაჯამებელი დავალებების და კათედრის წევრებთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მრავალფეროვან რესურსს, იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებისთვის მეთოდებს, ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის , შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას. ხორცილედება სასკოლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, შესაძლებლობის ფარგლებში. ყოველივე ზემოთთქმულიდან იკვეთება, რომ კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დამყარებული სამომავლო ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები,რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული, პირველი და მეორე უცხო ენების, საგნობრივი სტანდარტების, სამიზნე ცნებების დამუშავების დროს, სასწავლო პროცესი უნდა ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; დიფერენცირება შესაძლებელია მოხდეს მრავალი მიმართულებით, მაგ: დიფერენცირება სასწავლო შინაარსის, მოსწავლეებისთვის მიცემული დავალებების და სხვა. სკოლა, თავის განაცხადში, აღნიშნავს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს გარემოსა და სტრატეგიების დიფერენცირებას, რომლებიც აისახება საგნობრივ კურიკულუმებში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებების პრეზენტაციას, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით აკეთებენ. დიფერენცირებული მიდგომის სასწავლო პროცესში გამოყენების დასადასტურებლად, სკოლას წარმოდგენილი აქვს ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, მეორე უცხო ენის მაგალითზე, აგრეთვე ადაპტირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, პირველი უცხო ენის მაგალითზე. ეს დოკუმენტები, მკაფიოდ მიუთითებს, დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების კურიკულუმები შეეხება მომავალ სასწავლო წელს, ბუნებრივია, სკოლა ზუსტად ვერ გაწერს კონკრეტულ კლასებში, რა ტიპის დიფერენცირების საჭიროება დაუდგება. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირველი და მეორე უცხო ენების სწავლების პროცესში სკოლა გამოიყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს საჭირო მიმართულებით.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებაში და ამ კუთხით ბევრს მუშაობენ, მოიყვანეს მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან. ისაუბრეს იმაზეც თუ რა უნდა გაუმჯობესდეს მომავალში ამ მიმართულებით. მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო და მოდიფიცირებულ რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვთ ინდ. გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.

- ✓ **სპორტი**

სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომა გათვალისწინებულია კურიკულუმში. გასაუბრებისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალებისა და რესურსების მოდიფიცირება ისე, რომ დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შესრულების დროს მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს, რაშიც ეხმარებათ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინდივიდუალი საჭიროების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- ✓ **სახელმწიფო ენა**

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების საფეხურის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში, რომელშიც ნაჩვენებია კონკრეტული დავალების მოთხოვნების კავშირი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. მოცემულია საბაზო საფეხურზე დაგეგმილი ერთ-ერთი კომპლექსური დავალების (მონოლოგის დაწერა მ. ჯავახიშვილის ,,ეშმაკის ქვის“ მიხედვით) განმავითარებელი შეფასების რუბრიკაა, თუმცა მასწავლებელთა უკუკავშირი ცხადყოფს, რომ ამ გამოცდილების გადატანა სხვა საფეხურის და კლასის შეფასების დროსაც შეუძლიათ. პირველ ეტაპზე კათედრამ ატვირთა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არ ჩანდა კრიტერიუმების თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორებთან კავშირი, თუმცა ვიზიტის მეორე დღეს, რჩევის საფუძველზე, მასწავლებლებმა ამ პრინციპით შედგენილი 1 განმსაზღვრელი დავალების რუბრიკა წარმოადგინეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა უკუკავშირის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

- ✓ **მათემატიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. სკოლაში გამოიყენება შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. მათი გამოყენება ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება მოხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით. ამ ინდიკატორში სკოლა **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ** მოთხოვნებს.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები - ფიზიკა, ბიოლოგიასა და ქიმიაში, რომელებიც გვაჩვენებენ , რომ ამ საგნების პედაგოგებს მართალია ცოტა ქაოსურად , მაგრამ მაინც აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. აქვეა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და დამოუკიდებელი მუშაობის შეფასების რუბრიკები. ავტორიზაციის განაცხადის შევსების ეტაპზე განხილული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბირკა, რომელიც მიმართულია თემის ფარგლებში არსებულ სამიზნე ცნებებზე ანუ ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შესაბამისი საგნების გრძელვადიან მიზნებს, იგი მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ნიმუშებით (VII, IX კლასები) დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი, გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმებიც, გადმოთარგმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით; ასევე, წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებებში მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეაფასოს როგორც საკუთარი თავი, ასევე თანატოლი და მასწავლებელმაც გაიაზროს, რა პროცესი გაიარა მოსწავლემ, გამოკვეთოს მისი ძლიერი და სუსტი მხარე და მისცეს საჭირო უკუკავშირი. ჩანს, რომ სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს, კერძოდ, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებსს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. წარმოდგენილი მასალები მიემართება ამ ამოცანების შესრულებას და ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს.
მოცემული მასალების ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ კათედრას აქვს მზაობა შეფასება მიმართოს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ამისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც უნდა მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. უცხო ენების კათედრას, ინგლისური ენის ერთ-ერთ კონტექსტ მაგალითზე, თანამედროვე ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხები, გადმოგზავნილი აქვს განმავათარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც ერთ სვეტში მოცემულია პირველი უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, (მაგ: ჟანრი, სამეტყველო ქმედება და სხვა) თავისი შედეგებით, მეორე სვეტში ჩადებული აქვს ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და მესამე სვეტში კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს.

სკოლას, იგივე კონტექსტ-მაგალითზე, ასევე წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც, შეფასების კრიტერიუმების სახით, მოცემულია სამიზნე ცნებები და თემასთან დაკავშირებული მოსალდნელი შედეგები. მეორე სვეტში კი წარმოდგენილია ქულები.

მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. რუბრიკები წარმოდგენილია პირველი უცხო ენის მაგალითზე, თუმცა, ავტორიზაციის პროცესში, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოირკვა, რომ მსგავსი ტიპის შეფასების რუბრიკები გამოიყენება მეორე უცხო ენის სწავლების პროცესშიც. რუბრიკები მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, ვინაიდან მათში, შეფასების კრიტერიუმების სახით, წარმოდგენილია, უცხო ენების სატნდარტების, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები შესაბამის შედეგებთან ერთად

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია N1 მოდელი. მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს ჰქონდათ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში, ზოგიერთი მათგანი პედაგოგებმა შეხვედრაზე წარმოგვიდგინეს და ასევე მოგვაწოდეს მეორე დღისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისათვის. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებისათვის 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე.

- ✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და აქვთ წარმოდგენილი რამდენიმე შეფასების რუბრიკა: ფეხბურთის, კალათბურთის და ტანვარჯიშის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ შექმნან შეფასების რუბრიკა ყველა თემისთვის და უკვე არსებული - დახვეწონ.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

- ✓ **სახელმწიფო ენა**

კურიკულუმის შედგენისას წინარე წინარე გამოცდილება გათვალისიწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ როგორც კათედრამ ვიზიტის დროს აღნიშნა, 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმში შეიტანეს მხოლოდ ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც მათ წარმატებულ წინარე გამოცდილებას ეფუძნება გამოიწვია რა მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და ჩართულობა. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით მოცემულ ეტაპზე არ წარმოუდგენია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, მაგრამ იკვეთება, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, რაც გამოიხატება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება-გაანალიზებაში, პირადი პრაქტიკის გაზიარებასა და ტიპური ხარვეზების გამოკვეთასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში. კათედრა აგრძელებს ამ მიმართულებით პროცესის გაანალიზებას, რათა სრულყოს კურიკულუმი.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. მათემატიკის კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, კერძოდ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე ის ფაქტი, რომ სკოლა 2019 წლიდან ჩართული ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ მათ მიერვე შექმნილი კომპლექსური დავალებები, ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმის შემუშავება-დაგეგმვის პროცსში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა წარმოდგენილი კურიკულუმები, როგორც კათედრის ფარგლებში შექმნილი საერთო პროდუქტი, რომელიც შეიქმნა მშობლის უკუკავშირის და მასწავლებლის თვითშეფასების, მოსწავლის თვითრეფლექსიის საშუალებით. სწორედ ამ გზით მოხდა დაგეგმილ/განხორციელებული პროცესის გაანალიზება, გადაგეგმვა, მორგება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. კერძოდ, ახდენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებას: სასწავლო პროცესის მართვის, სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანზე ორიენტირების, შეფასების, რესურსების მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომის, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინების მიმართულებით. სწორედ მოცემული თვითშეფასების ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი მოხდეს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა. ჩანს, რომ სკოლას აქვს ფრაგმენტული გამოცდილება ამ კუთხით , კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ ვერბალურად, რაც არ არის გაფორმებული დოკუმენტურად, სკოლა გეგმავს, რომ მსგავს გაზიარებებს მიეცემა ოფიციალური სახე, შეიქმნება წინარე გამოცდილებათა დოკუმენტალური ანალიზი რაც დაეხმარება მათ უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილების ანალიზი, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენების**

სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევების გათვალისწინებას მომდევნო სასწავლო წლის კურუკულუმის შედგენის პროცესში. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს წინარე გამოცდილების ანალიზი. მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. აღნიშნულის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი N4, რომელშიც მითითებულია, რომ კათედრა შეიმუშავებს ახალ კომპლექსურ დავალებებს 2023-2024 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წლისთვის და მოახდენს 2022-2023 წლის კომპლექსური დავალებების ანალიზს. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობის დროს, საკითხების შერჩევა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია, მიუთითებს კურიკულუმის შემუშავების, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება უცხო ენების საგნობრივ ჯგუფზეც.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ, სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები ხშირად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

- ✓ **სპორტი**

სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთთან ცვლიან აზრებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აგრეთვე ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე და განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით იგეგმება გადამუშავებული კურიკულუმი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა
  - საგნობრივი კურიკულუმი;
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
  - სასკოლო პროექტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

✓ მათემატიკა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა ;
- სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ;
- ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;
- კათედრის პორტფოლიო.

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი;

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
- საგნების: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა- კურიკულუმის ჩარჩოები “.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები -საგანი ისტორია (VII, IX კლასები)
- სასკოლო პროექტები;
- ინდ. სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები).

✓ ესთეტიკური აღზრდა
- თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

✓ სპორტი
- კურიკულუმი ;
- კომპლექსური დავალება ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

✓ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ კურიკულუმში სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. გაზიარებულია პროექტული სწავლების გამოცდილებაც, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.

✓ **მათემატიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვა. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს სჭირდება თავისუფალი აზროვნება, პრობლემის სხვადასხვა პერპექტივიდან დანახვა და შეფასება, ახალი იდეების გენერირება, შესაბამისად ამ დროს მოსწავლე აქტიური და შემოქმედებით პროცესში ჩართულია. სკოლას აქვს გამოცდილება არაფორმალური განათლების მხრივაც მოსწავლეების შემოქმდებით პროცესში ჩართულობის. (მაგალითად , პროექტი „რა, სად, როდის“, რომლის მომზადებასა და განხორციელებაში ჩართული იყო IX კლასის მოსწავლეები). ამ ინდიკატორით დასტურდება შესაბამისობა.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის, კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები და ინტერვიუ კათედრის წევრებთან, იძლევა იმის საშუალებას, რომ დავადასტუროთ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს შემოქმედებითს ხდის და მოსწავლეს სძენს ცოდნის, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოები საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, ასევე VII, IX კლასებში შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, სასკოლო პროექტები, საიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის განხორციელდეს ისეთი აქტივობები, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მას შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტები კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას.
ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

დაგეგმილი კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ინტერესები და იგი მოაზრებული იყოს ცენტრალურ ფიგურად. მოსწავლის ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები მოსწავლის ცნობიერებაში ააქტიურებს ისეთ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დაკავშირებულია მის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. პირველი და მეორე უცხო ენების მაგალითზე, საბაზო საფეხურზე, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმები, რომლებშიც ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, უცხო ენების საგნობრივი კურიკულიკულუმებში მოცემული, კომპლექსური დავალებების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას უცხო ენების შესწავლის პროცესში. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას უცხოურ ენებში განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი. სკოლას ასევე განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები კლიმატის ცვლილებებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩანს უცხო ენების კათედრის თანამონაწილეობა. ზემოთ აღნიშნული ფაქტები, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე მიანიშნებს.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ცდილობენ მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლამ კითხვარში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდორულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

✓ **სპორტი**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია გაწერილი, რაც მოსწავლეში აღძრავს ინტერესებს, უბიძგებს შეიძინოს ცოდნა და აქტიურად ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. ამას ცხადყოფს წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები მძლეოსნობის და ფეხბურთის.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

✓ **სახელმწიფო ენა**

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

✓ **მათემატიკა**

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი (VII-IX) უზრუნველყოფს მოსწავლის ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანს, რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ და გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება: მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლის ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. ეს კი განსაკუთრებით გამოიკვეთება ბიოლოგიასა და ფიზიკაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებში, რომლებიც მოსწავლეთათვის შინაარსიანია და პრაქტიკული ხასიათისაა. ეს კი მათ დაეხმარებათ ახალი ინფორმაციის უკეთ გააზრებასა და დაკავშირებაში.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში იკვეთება სამომავლოდ როგორ აქვთ გაწერილი ისეთი აქტივობები, როგორიცაა სასწავლო პროექტები, საკლუბო აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში არა მხოლოდ ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ასევე დაეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის გაზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, რომელიც წარმოდგენილია სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგანში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, იძლევა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურების შესაძლებლობას. სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებში მასწავლებლებს შერჩეული აქვთ საკითხები, არის მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში.
საგნობრივი კურიკულუმი, შემაჯამებელი დავალებები და სასკოლო პროექტები ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა დაა.შ. დაგეგმილი პროცესის პირველი აქტივობაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.
წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა ასევე სამიზნე ცნება, რომელიც უნდა დამუშავდეს შერჩეული საკითხის ფარგლებში, კერძოდ, მისი მკვიდრი წარმოდგენები ისეა ჩაშლილი, წინარე ცოდნის გააქტიურებიდან ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მოსწავლის წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმა, ამ მიზნის მისაღწევად, თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ, საბაზო საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებზეც მოსწავლეები სამომავლოდ იმუშავებენ. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ გააკეთონ გარკვეული ანალოგია და შექმნან საინტერესო პროდუქტები (მაგ: დაამზადონ პოსტერები, ვიდეორგოლები და სხვა). კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს, მოსწავლეები ახალ ცოდნას წინარე გამოცდილებას უკავშირებენ. სკოლას, უცხო ენებში, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებების მატრიცები, მათში ჩადებულ მთელ რიგ საკვანძო შეკითხვებთან ერთად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დააფუძნოს ახალი გამოცდილება. სკოლას, კომპლექსურ დავალებებთან ერთად, ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასწავლო პროექტები. ეს ყველაფერი, კონსტრუქტივისტული სწავლების, სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე მიანიშნებს. რაც შეეხება თემატური დაგეგმვის პრინციპს, ეს საკითხი სკოლას ნაკლებად აქვს დანერგილი, და როგორც საკუთარ განაცხადში მიუთითებს, ყველა სასწავლო თემასთან მიმართებით არ ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები. აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესებას კი სკოლა სამომავლოდ გეგმავს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების საშუალებას, მის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ახალი მასალის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტ მაგალითები, რათა მოსწავლეს ახალი დავალების შესრულების დროს არ გაუჭირდეს ანალოგიების გაკეთება, ახსნას ნაცნობი მოვლენები და შეასრულოს კომპლექსური დავალება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელთა საეტაპო აქტივობებიც და წარდგენის ეტაპიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სისტემატურად უსავამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მათ მიღწეული წარმატებისა თუ ხარვეზის გაანალიზებაში დაეხმარებათ(მაგალითად, როგორ ამოიცანი? როგორ მიხვდი? რას დაეყრდენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას და ა.შ); ამასთან, აძლევენ დეტალურ უკუკავშირს იმასთან დაკავშირებით, რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რამ შეუშალა ხელი, როგორ შეიძლება გაუმკლავდეს ხარვეზებს, რაც, მათი აზრით, წაახალისებს მეტაგოკნიტურ პროცესს მოსწავლის გონებაში.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას. საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას და სკოლას აქვს მზაობა აქტიურად დანერგოს და განახორციელოს მეტაკოგნიტური უნარების გასავითარებლად საჭირო სტრატეგიები. მაგალითად, განაცხადი-II სტანდარტში, სკოლა წერს, რომ ,,სასწავლო პროცესში წახალისებული იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. წახალისებულ იქნება ფიქრი იმაზე თუ რას აკეთებს მოსწავლე მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. კომპლექსური დავალებები დაეხმარება მასწავლებელს დააფიქროს მოსწავლე სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიციაზე.'' ამის შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში: სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, სასკოლო პროექტებში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა - როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საკვანძო შეკითხვები, რომლებიც მოცემულ მასალაშია, იქნება ეს საფეხურის თუ თემის, სწორედ სწავლის-სწავლის სტრატეგიებია. სწორედ ამ შეკითხვებზე აქცენტირებით წარმართავს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს.

კურიკულუმებში ისეთი დავალებები ჩანს, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებაზე დაყრდნობით, ააქტიურებს მას, წაახალისებს და აღუძრავს ინტერესს, ბოლოს კი მსჯელობები მოსწავლის გამოცდილებაზე, მის ინტერესებზე, გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე და მისი დასკვნების ვალიდურობაზე, სწორედ რომ წახალისებს მეტაკოგნიციას. მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე - ჩანს რომ შესაძლებელია დაგეგმილი პროცესის ბოლოს. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება/ მზაობა და შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამჭოლი უნარები, რომელთა შორის ერთ-ერთი არის სწავლის სწავლის კომპტენცია. ეს გულისხმობს, მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიასა და საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა-მონიტორინგს. საკუთარი სწავლის გააზრების, ანუ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის, ეფექტურ საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები მოაზრება. პირველი და მეორე უცხო ენების, საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას. სკოლას აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებები და წარმოდგენილი აქვს რამდენიმე მატრიცა თვალსაჩინოებისთვის. ამ მტკიცებულების შესაწვლის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხო ენების სწავლების პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული და ხელს უწყობს მას გაიაზროს, განხორციელებული სამუშაოს დროს რა სტრატეგიები გამოიყენა, რა გაუადვილდა, რა იყოს ის გზა, რომელიც დავალების შესრულების დროს დაეხმარა. ასევე სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები, რომლებშიც ჩანს უცხოური ენების კათედრის ჩართულობა. სასწავლო პროექტებში, როგორც სკოლა მიუთითებს, მოსწავლეთა ჩართულობა მაღალი იყო. შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების დროს სკოლა ყურადღებას მოსწავლის მიერ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე გაამახვილებს, რისი თქმის საფუძველსაც სკოლაში არსებული გამოცდილება იძლევა.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმში და ინტერვიუზეც ნათლად არ გამოიკვეთა სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომ წაახალისოს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, ამან უნდა დააფიქროს მოსწავლე სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ამით უზრუნველყოფს მასწავლებელი, რომ დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა ეფექტური სტრატეგიები მოძებნონ და გამოიყენონ.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- ✓ **სახელმწიფო ენა**

კათედრის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი საკითხების მაგალითზე, წარმოაჩინეს, როგორ იყენებდნენ დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ შეკითხვებს იმისთვის, რომ მოსწავლეებს სიღრმისეულად შეესწავლათ საკითხი.

- ✓ **მათემატიკა**

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ჯერ არ შეურჩევიათ საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის კომპლექსური დავალებები, იგეგმება გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი მსჯელობა. ნებისმიერ შემთხვევაში, კომპლექსური დავალება თავისთავად მოიაზრებს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში . მოსწავლეებს პრობლემაზე მუშაობის დროს შეუძლიათ მიღებული ცოდნის (ნასწავლის) დაკავშირება და გამოყენება მთლიანი პრობლემის გადასაჭრელად, ასევე მსჯელობით დასაბუთება. (მაგალითი. IX კლასი, კომპლექსური დავალება“ დაინფიცირება და ჯანმრთელობის აღდგენა“. მოსწავლეებმა იციან არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიის ზოგადი ფორმულები და ამ ფორმულების გამოყენებით შეძლებენ სიტუაციური პრობლემების გადაჭრას: გამოთვალონ საჭირო მედიკამენტის რაოდენობა და იმსჯელონ როგორ ვრცელდება ვირუსი, რა სიჩქარით, რა წესით). დასტურდება შესაბამისობა ინდიკატორთან.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი, განაცხადი-II სტანდარტი, რომელიც გაწერილა ავტორიზაციის კომპონენტების, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესაბამისად, იძლევა დასტურს იმისას, რომ სამომავლოდ, მიუხედავად იმისა რომ ადრე სასწავლო პროცესი დეკლარატიულ ცოდნაზე უფრო იყო მიმართული, კომპლექსური დავალებებით მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს, სასწავლო პროცესში გამოიყენეონ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის დასაუფლებად საჭირო დავალებები და აქტივობები.ამიტომ შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) იკვეთება აქცენტი ცოდნის სამ კატეგორიაზე, როგორც სამიზნე ცნებების დამუშავების კუთხით, ასევე კომპლექსური დავალების პირობაში ჩადებული შეფასების კრიტერიუმების საშუალებით, რომლითაც არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი, ასევე შემაჯამებელი დავალების ნიმუშებში წარმოდგენილი მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების ფარგლებში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა. შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენების**

სასწავლო პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული ცოდნის სამი კატეგორიის განვითარებაზე: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული. თანამედროვე სამყაროში, ეფექტურად მოქმედებისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა. საჭიროა მოსწავლეს შეეძლოს ცოდნის მოქმედებაში გადატანა და მისი გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. ამ შემთხვევაშიც, კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტებში მოსწავლეთა მონაწილეობა არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები, საბაზო საფეხურზე, ითავლისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გაპრაქტიკებას, უცხოური ენების შესწავლის პროცესში. სკოლას, ამ მხრივ, გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რის დამადასტურებლადაც მას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული, კომპლექსური დავალებების მატრიცები და სასწავლო პროექტები.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებლებმაც სწორედ ეს აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით.

- ✓ **სპორტი**

საბაზო საფეხურზე კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეები იძენენ ფაქტობრივ ცოდნას, დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ასრულებენ კონკრეტულ აქტივობას, იაზრებენ როგორ უნდა შეასრულონ დავალების პირობა, ბოლოს კი ცოდნის მოქმედებაში გადატანა და გამოყენება ხდება.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

მოსწავლის მხრიდან ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა ჩანს იმაში, რომ კურიკულუმში თემის ფარგლებში განსხვავებული საგნობრივი საკითხები შეისწავლება, რომელთაც გაერთაინებულად მოსწავლე საბოლოო პროდუქტში წარმოაჩენს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ზემოაღნიშნულს იმით მიაღწევენ, რომ შეარჩიეს (და სამომავლოდაც შეარჩევენ) იმგვარი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე.

- ✓ **მათემატიკა**

სასწავლო პროცესის დანახვა საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ზოგადად ხერხდება, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ: კომპლექსური დავალებები, არაფორმალური აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია ამჯერად, მხოლოდ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. იგეგმება კურიკულუმების სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამისთვის როგორც სკოლა აცხადებს ,,ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით დაგეგმილ იქნება არაფორმალური პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები“.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (კურიკულუმის ჩარჩოებში საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები ისტორიაში -VII, IX კლასები) ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა , შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

მოსწავლეების ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო კურიკულუმები. მათში ისე უნდა იყოს გაწერილი სასწავლო საკითხები, რომ გააჩნდეთ ურთიერთმიმართებები. სასწავლო კურიკულუმის გარდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მოსწავლეთა ცოდნათა ურთიეთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები. იმისთვის, რომ მოსწავლემ გარკვეული კავშირები დაამყაროს ცოდნასა და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასათან, მას მოუწევს ფიქრი პრობლემასა თუ გამოწვევებზე და შესაბამისი ცოდნის თავმოყრა. კომპლექსური ბუნების დავალებები ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, შესაბამისად, მოსწავლე გააქტიურებს სხვადასხვა ცოდნას და ერთმანეთს დაუკავშირებს. საბაზო საფეხურის, უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში, წარმოდგენილია კოპლექსური დავალების პირობები, რომელთა ფარგლებში მოსწავლეები დაამზადებენ ვიდეორგოლებს, შექმნიან პოსტერებს, გააკეთებენ პრეზენტაციებს და სხვა. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიეთდაკავშირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გადმოგზავნილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები და სასწავლო პროექტები. ეს ყოველივე კი სკოლის გამოცდილებაზე მიანიშნებს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ ეს მიღწევადია.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში ისეა კომპლექსური დავალებები დაგეგმილი, რომ შესაძლებელი იყოს, მოახდინონ სხვა საგანთან ინტეგრირება და ამით ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გეგმავენ ხშირად შეიკრიბონ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, მოძებნონ საგანთა შორის გადამკვეთი ხაზები და დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა
  - საგნობრივი კურიკულუმი;
  - სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ მათემატიკა
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა ;
  - სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ;
  - ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;
  - კათედრის პორტფოლიო.
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
  - კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
  - საგნის ,,ისტორია“ VII, IX კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები ;
  - სასკოლო პროექტები;
  - მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები).
- ✓ უცხოური ენები
  - საბაზო საფეხურის პირველი და მეორე უცხო ენების კურუკულუმები;
  - განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები;
  - სასკოლო პროექტები
- ✓ ესთეტიკური აღზრდა
  - კურიკულუმები
- ✓ სპორტი
  - კურიკულუმი
  - კომპლექსური დავალება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. საწყის ეტაპზე კათედრამ კურიკულუმი წარმოადგინა მცირე ხარვეზებითა და უზუსტობებით(აღრეული იყო საფეხურის სამიზნე ცნებები), თუმცა ვიზიტისას თავად მივიდნენ დასკვნებამდე და მეორე დღეს წარმოადგინეს მეტად სრუყლყოფილი ვერსია, რაც მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ მასწავლებლებს აქვთ პოტენციალი, იხემძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ.

- ✓ **მათემატიკა**

წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით, მით უფრო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და პროცესის სწორი ხედვა. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. მართალია ბიოლოგია, ქიმია,ფიზიკაში არაა წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა, თუმცა მაინც იკვეთება გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილ კურიკულუმებში - საგნები ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები, რომლებსაც მიემართება ასევე წარმოდგენილი VII, IX კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები საგანში ისტორია, ცოდნისკენ სვლა კი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს . კურიკულუმებში და დაგეგმილ პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს შორის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება/ მზაობა და შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხოური ენების სტანდარტში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება; სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, საბაზო საფეხურის, პირველი და მეორე უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, ხოლო მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად ძირითადად განვრცობილია იმ თავებში, რომლებშიც მასწავლებელს მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების განხორციელება. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სასწავლო გეგმით, უცხო ენებისთვის გათვალისწინებულ სარეკომენდაციო თემებს და იძლევა შესაძლებლობას მათზე დაყრდნობით დამუშავდეს სამიზნე ცნებები. მაგალითად, რუსული ენის მეშვიდე კლასის კურიკულუმში საგნობრივი საკითხი არის ოჯახი, ხოლო სამიზნე ცნებებია - ჟანრი; კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი, არავერბალური კომუნიკაციის საშუალება: ინტონაცია, მახვილი, პაუზა. კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე მოსწავლეს მოეთხოვება საოჯახო ფოტო-ალბომის პრეზენტაცია. სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი არის დანახული. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები, რომლებშიც სათანადოდ არის ჩაშლილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და რესურსები. როგორც ავტორიზაციის განაცხადში არის მიუთითებული, რომ სკოლა ჩართული არის ახალი სკოლის მოდელში, შესაბამისად მას აქვს სამიზნე ცნებებისა და საგნობრივი საკითხების ერთმანეთთან დაკავშირების გარკვეული გამოცდილება, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ სკოლა წარმატებით განახორციელებს მის მიერ დაგეგმილ სასწავლო კურიკულუმს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საბაზო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ეს კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, როდესაც მათ ისაუბრეს დაგეგმილ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებზე.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებში დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები იძლევა საშუალებას, რომ გააზრებული იქნას კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენას და საგნობრივ საკითხებს შორის, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, რათა მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩეს.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო თემები და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, ადამიანის დანიშნულება, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთკავშირი, მორალური ფასეულობები, ოჯახური თუ სასკოლო ურთიერთობები - ეს მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული და ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს;

- ✓ **მათემატიკა**

საგნობრივი კონტექსტები ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ განხილული სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სამომავლოდაც იგეგმება პროექტების და კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან კომპლექსური დავალებები, რომლებზეც წლის განმავლობაში მოსწავლეები მუშაობდნენ, არა მხოლოდ მათ ფიზიკურ და კოგნიტურ სფეროს, არამედ ფსიქო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც იყო ორიენტირებული. შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურის ყველა კლასში წარმოდგენილი კურიულუმის ჩარჩოები საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საგნობრივი კონტექსტები ისეა შერჩეული, რომ ქმნის მოსწავლის საჭიროებების და მისი პიროვნული თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. საკითხები, ასევე საკითხები და კომპლექსური დავალების იდეები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. მოსწავლე ჩამოყალიბდება პიროვნებად.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს, აუცილებელია მოსწავლეს შევთავაზოთ საგნობრივი კონტექსტი, რომელიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენის საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილია მთელი რიგი სასწავლო თემები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება მოსწავლისთავის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს (მაგალითად: სკოლა, ქალაქი, მაღაზია, ფილმები, სუპერგმირები, ტექნოლოგიები და სხვა). საგნობრივი კურიკულუმით გაწერილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელებასაც სკოლა სამომავლოდ გეგმავს. კომპლექსური ბუნების დავალებები, ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ზრდას უწყობს ხელს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები მაგ: გამოფენები, სხვადასხვა დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **სპორტი**

კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას, უვითარდება კრიტიკული აზროვნება, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს საკუთარი ინტერესების გაცნობიერებას.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

✓ **სახელმწიფო ენა**

ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.

✓ **მათემატიკა**

მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის (სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია), როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა და იყენებენ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კათედრაზე წარმოდგენილ მე-12 რესურში იკვეთება სკოლის მზაობა მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება განახორციელოს კურიკულუმზე მორგებული შეფასების რუბრიკების მიხედვით, კერძოდ, ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით, არჩეული და გამოყენებული იქნება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

განმსაზღვრელი და განმვითარებელი შეფასების რუბრიკებით საშუალებით (სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რუბრიკები) დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას, როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს , და ა.შ. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს .

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, სადაც იკვეთება სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ეროვნული სასწავლო გეგმა, გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა, ასევე მიუთითებს, რომ საჭიროა მოსწავლის უნარების ჰოლისტური შეფასება, რაც საგნობრივ-აკადემიურ მხარესთან ერთად, მოსწავლის განვითარების სხვადასხვა ასპექტს (ინტელექუალური, სოციალური, ემოციური და სხვა) მოიცავს. ავტორიზაციის პროცესში, სკოლამ დამატებით წარმოადგინა შეფასების ზოგადი რუბრიკები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს) და სხვა. სკოლას, პირველი უცხო ენის მაგალითზე, წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მასთთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია, ჰოლისტური შეფასების სრულყოფილი მეთოდოლოგია უცხო ენების კათედრაზე შემუშავებული არ არის, მიუხედავად ამისა, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები პერიოდულად აწარმოებენ სხვადასხვა ტიპის და შინაარსის კვლევებს. აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა

- ✓ **სპორტი**

სწავლა სწავლების პროცესი არის თანამშრომლობით ურთიერთობაზე დაფუძნებული და არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები - ფეხბურთის, კალათბურთის და ტანვარჯიშის, მორგებულია კურიკულუმს და უზრუნველყოფს შეაფასოს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს ცოდნის ეტაპობრივად აგება. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა კრიტერიუმებით შეფასდებიან სხვადასხვა დავალების შესრულებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

✓ **სახელმწიფო ენა**

სასკოლო სასწავლო გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

✓ **მათემატიკა**

შეფასების ზოგადი სქემა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა გეგმავს შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებით. ამ გამოცდილებით ისინი გეგმავენ გააგრძელონ მუშაობა და შექმნან საბაზო საფეხურის შესაბამისი თემების შეფასების რუბრიკები. დასტურდება შესაბამისობა ინდიკატორთან

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის გამოცდილება და სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და განაცხადი-II სტანდარტი ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოების- საგნები ისტორია, გეოგრაფია , მოქალაქეობა , შემაჯამებელი დავალებების VII, IX კლასების ნიმუშების (საგანში ,, ისტორია“), მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები) საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებელი შეფასებას შეიმუშავებს გრძელვადიანი მიზნის მიღწევის (შედეგი/სამიზნე ცნება არის შეფასების ორიენტირი), ასევე პროცესის გასაზომად, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა და საერთო ჯამში შედეგების გასაუმჯობესებლად, შეფასების სამი კომპონენტის (საშინაო, საკლასო, შემაჯამებელი) გათვალისწინებით. შემაჯამებელი დავალება, კომპლექსური დავალების პირობა იძლევა მიზნის მიღწევის, მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას შერჩეული სწავლა-სწავლების რესურსების საშუალებით.

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების პირობა და მოსწავლის მიერ შესაქმნელი სხვადასხვა პროდუქტი, რომლებიც მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისა და უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარების (პრობლემის გადაჭრა, შეფასება და ა.შ.) განვითარების ხელშემწყობია. ასევე შესაძლებელია ამ პროცესში მოსწავლეებმა განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს. სწავლის შედეგის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა შეფასების რუბრიკებში გაწერილი კრიტერიუმები. იკვეთება, რომ კრიტერიუმები ორიენტირებულია მასწავლებლის მიერ შერჩეული მიზნისკენ / სწავლის შედეგისკენ, აქედან გამომდინარე შეფასება არის ვალიდური, შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში სწორად არის შერჩეული,

წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებებში და შეფასების რუბრიკაში ჩანს, როგორ ფასდება მოსწავლეების ნამუშევარი და რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, რითაც შეფასება გამჭვირვალე ხდება.

შეფასების წარმოდგენილი რუბრიკები კარგადაა გააზრებული და გაწერილი, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა შემფასებელი ადვილად მიიყვანოს საერთო შეფასებამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ უცხოური ენები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან. უცხოური ენების კათედრას ასევე წარმოდგენილი აქვს რუბრიკები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. აღნიშნული რუბრიკების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას უცხო ენების სწავლების პროცესში. შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულია რამდენიმე შეფასების რუბრიკა, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ინდიკტორები, არი სანდო და ვალიდური. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას.

- ✓ სპორტი

შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ითვალისწინებს ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს. ვიზიტისას მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე შეფასების რუბრიკა, თუმცა ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ, რომ ყველა თემასთან მიმართებით შექმნან შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები აპირებენ სამომავლოდ გამოიყენონ როგორც თვითშეფასების, ასევე ურთიერთშეფასების რუბრიკები. მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელს წინაწარ აქვს დაგეგმილი. მათ აგრეთვე იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ, რომ დადებითად შეფასდნენ.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-052-ით დამტკიცებული შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცსში იგეგმება დირექტორის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში), კათედრების ხელმძღვანელების და ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ვერიფიკაციის განხორციელება იგეგმება სამ ეტაპად. ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე მოხდება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე განხორციელდება შეფასების პროცესზე დაკვირვება, რათა შეფასდეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. ვერიფიკაციის მესამე ეტაპზე განხორციელდება უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციისას არ განიხილება სკოლის ყველა მოსწავლის მტკიცებულება, მტკიცეებულბები შეირჩევა იმ რაოდენობით, რომ საგნის სწავლების ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია საგნის მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ - ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის რაოდენობრივი ზრდა. რისკ ფაქტორია მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი. ამრიგად სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში დაინერგება შეფასების ვერიფიკაციის სისტემა.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები არცერთ შიდამარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი არ აქვს, თუმცა სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას ვადები ინდიკატორთან შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-052 შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
- სახელმწიფო ენა
  - საგნობრივი კურიკულუმი;
  - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
  - სასწავლო პროექტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი;

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
- საგნის: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - კურიკულუმის ჩარჩოები;
- შემაჯამებელი დავალების VII, IX კლასების ნიმუშები საგანში ,, ისტორია“.

✓ უცხოური ენები
- საბაზო საფეხურის პირველი და მეორე უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ზოგადი რუბრიკები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები.

✓ ესთეტიკური აღზრდა
- მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების კითხვარი.

✓ სპორტი
- კურიკულუმი ;
- კომპლექსური დავალება;
- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. მასწავლებლები დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი კულტურა, ხდება გამოცდილების გაზიარება. სასკოლო საზოგადოებასა და სკოლას შორის არის კარგი კომუნიკაცია. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. კლასის დამრიგებლებს მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგბლო გეგმები;
- ინდგეგმები;
- მოსწავლის პირველადი მართვის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი/შეფასება გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვასა და მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში ასევე მუშაობს ლიდერ მასწავლებელთა ინსტიტუტი.ლიდერ მასწავლებლები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს არსებულ პრობლემებს და გეგმავენ განვითარების გზებს. ამრიგად სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვბის სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა. დაეხმაროს მასწავლებელსა და მოსწავლეს სსირთულის დაძლევაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;
- კათედრების გეგმები და ქმები.
-

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი შესაბამისად იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, აკვირდება დამრიგებელი. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია გროვდება ელექტრონული ჟურნალიდან. ამრიგად მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც დაკვირვება, ასევე შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი) ანალიზი, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დინამიკა, მეორადი მონაცემების ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვიტარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

I

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 23/06/2023 წ. N2-051 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. (სამუშაო ვრსია). წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით მასწავლებლების მირ შემუშავებული კურიკულუმი შემდგომ ვითარდება მშობლების და დირქციის აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნება სკოლის მისია და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის პრიორიტეტული თემა, რომელზე მუშაობასაც გადაწყვეტს სკოლა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში გამოიხატება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლებზე დაკვირვების შედეგად (მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს როგორი დავალებები მოსწონთ, რა ფორმით გადაცემული ინფორმაციაა მათთვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი და შესაბამისად კურიკულუმში იცვლება საკითხები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მეთოდები, მიდგომები) დადგენილი საჭიროებების მიხედვით კურიკულუმში ასახულ ცვლილებებში. მშობლთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მშობელთა კრბებზე და სოციალურ ქსელში, თიმსის ჯგუფებში გაზიარდება კომპლექსური დავალებები და მშობლის ბარათები. შეფასების რუბრიკები შემუშავდება მოსწავლეთა ჩართულობით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. რაც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორლაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრების თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებენ მოსწავლეების მშობლებს, ეძებენ ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო ინტენსიურად ჩართვისთვის. აფასებენ სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის.
კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილობს სასკოლო საზოგადობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება), ასევე კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო (კურიკულუმი თანხმდება სამეურვო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე) უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-051 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

✓ **სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემულია ამავე საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემა/ქვეთემები და თემის ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის კათედრა, გარდა სავალდებულო ტექსტებისა, იყენებს კლასგარეშე ლიტერატურას, მრავალფეროვან რესურსს, რომელიც აზრობრივად უკავშირდება შესასწავლ თემას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის აგებას, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროცესში. ქვეთემები შერჩეულია ისე, რომ ერთი მხრივ, ითვალისწინებს საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს, მეორე მხრივ, აერთიანებს ამავე საფეხრისთვის სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო ტექსტებს (მაგალითად, თემის, V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, გამოყოფილია თემები: ძალის უძლურება, პიროვნული პრინციპები და არჩევანი, სიყვარული და მეგობრობა, სამშობლოს წარსული და ა.შ). რამდენიმე სასწავლო თემასთან წარმოჩენილია გრძელვადიან მიზნებთან, საფეხურის სამიზნე ცნებებთან კავშირი, მასწავლებლებმა მკაფიოდ და კონკრეტული მაგალითების საშუალებით ისაუბრეს, როგორ შეიძლება მათ მიერ დაგეგმილმა კომპლექსურმა დავალებებმა და სავარაუდო საეტაპო აქტივობებმა ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

✓ **მათემატიკა**

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის (X, XII) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინეტერესებს, წინარე ცოდნას და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სკოლას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, საგნობრივ ოქმში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. რადგან კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას, შესაბამისად ვადგენთ რომ მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო კათედრა ორიენტირებულია, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით. კერძოდ, მეათე კლასის კურიკულუმი ამის თქმის საშუალებას იძლევა, მეთერთმეტე კლასში, რადგან იცვლება სახელმძღვანელოები, მათ მიხედვით მოხდება დაგეგმვა. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლსთვის შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს ყველა კლასისთვის და ამ მეთოდით წარმართავენ სწავლა-სწავლებას ბუნებისმეტყველების საშუალო საფეხურზე. მე -10 კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საშუალო საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილი საგნების: ისტორია, (X, XII კლასების კურიკულუმის ჩარჩოები), გეოგრაფია, მოქალაქეობა, შემდგომი სასწავლო წლისთვის შემუშავებული მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოების, X, XI, XII კლასების შემაჯამებელი დავალებების, სასკოლო პროექტის, ინდ. სასწავლო გეგმების საშუალებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/სასწავლო შედეგი / მოსწავლის პიროვნული განვითარება წარმოადგენს, სადაც ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება . შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები,წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: მოცემული დავალებები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები , რაც იწვევს მის ემოციურ კმაყოფილებას. ასევე შემუშავებული ისგ-ები ხელს უწყოს სსსმ მოსწავლეების საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად ჩართვას სასწავლო პროცესსა თუ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ არაერთ სასკოლო პროექტში ჩანს, რომ ხელი ეწყობა სსსმ მოსწავლეების სოციალურ ინტეგრაციას თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების, განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობისა და თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა/გამომუშავების კუთხით.სასკოლო პროექტები ჯანსაღი ცხოვრების, გარემოს დაცვის თემებზე ახდენს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარების უზრუნველყოფასა და მოტივაციის გაზრდას ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებით .

ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში , კათედრის წევრებთან განხორციელებული ინტერვიუდან გამოვლინდა, რომ კათედრაზე მასწავლებლები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარებისთვის იყენებენ ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, გაკვეთილზე დასწრებისა თუ კრიტიკული მეგობრის მეთოდის საშუალებით, ერთობლივად აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი გამოცდილება, ხედვა და მზაობა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

კურიკულუმი წარმოადგენს იმ მთავარ პროგრამას, რომელზე დაფუძნებითაც უნდა განხორციელდეს უცხო ენების შესწავლა საშუალო საფეხურზე. მნიშვნელოვანია, კურიკულუმი ხელს უწყობდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რისთვისაც იგი მეტ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს სწავლების პროცესს და მოსწავლეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს თავად იყვნენ მისი წარმმართველები. ამ მიზნის მისაღწევად, კურიკულუმი უნდა მოიცავდეს გძელვადიან მიზნებს, შუალედურ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში, გრძელვადიან მიზნებად ჩაწერილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, უცხოური ენების სტანდარტების მიხედვით, ხოლო შუალედურ მიზნებად სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელბასაც გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, მოიცავს ისეთ ფორმულირებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდასა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას. მოსწავლეებისთვის, კომპლექსური დავალების ფარგლებში, გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, იქნება ეს პრეზენტაცია, სტატია, ბროშურა და სხვა, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მაღალი საარზროვნო უნარების გააქტიურებას. კურიკულიკულუმებში მოცემული, კომპლექსური დავალებების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს უცხოური ენების შესწავლის პროცესი მოსწავლზე ორიენტირებით წარმათოს. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას უცხო ენებში განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ უცხო ენების მასწავლებლები, კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დავალებებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ახორციელბდნენ. სკოლას ასევე განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები კლიმატის ცვლილებებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩანს უცხო ენების კათედრის თანამონაწილეობა. ზემოთ აღნიშნული ფაქტები, გვაფიქრებინებს, რომ სკოლა შეძლებს, დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელების გზით, სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებით წარმათოს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ესთეტიკის კათედრის მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სასწავლო პროექტები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთ დაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება. ისინი აანალიზებენ პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გადაჭრის გზებს.

- ✓ **სპორტი**

საშუალო საფეხურზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა მასწავლებლის ჩართულობით შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო, სადაც მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლეთა მზაობები, ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმში განსაზღვრულია შუალედური მიზნები და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. X და XII კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, უმეტეს შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, ასევე XI კლასის კურიკულუმში არ არის გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები, თუმცა გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმილი კურიკულუმის სრულყოფა შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- ✓ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურის კურიკულუმი ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ იმდენად, რამდენადაც შერჩეული თემები, ქვეთემები, მათ დასამუშავებლად მითითებული სავალდებულო თუ არასავალდებულო ტექსტები იძლევა საშუალებას, მოსწავლემ იმსჯელოს ისეთ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ ავითარებს სხვადასხვა ფუნქციურ - კომპონენტურ უნარს. ვიზიტის მიმდინარეობისას მასწავლებლებმა ახსნეს, რომ მაგალითად, ქვეთემის - ძალის უძლურება - შესწავლისას ისინი იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამების“ საფუძველზე, უბიძგებენ მოსწავლეებს თანაგრძნობის, პიროვნული პრინციპების მნიშვნელობისა და ადამიანის არჩევანის პატივისცემის გაცნობიერებისკენ. ამ ფორმით უკავშირდება თითოეული ტექსტი კონკრეტულ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს და საგნობრივ ცოდნას ერწყმის. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილებაც, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. პროექტების დაგეგმვა და განხორციელება თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების გამოვლენას მოსწავლის მხრიდან. ამასთან, კათედრის წევრების ზეპირი უკუკავშირის მიხედვით, ისინი აცნობიერებენ, როგორ შეიძლება სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნების შესრულების პარალელურად მოსწავლეებს განუვითარონ გლობალურ-ფუნქციური უნარები, ამ უკანასკნელის მიღწევის გზად ასახელებენ საგანთა ინტეგრირებას (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ისტორია). შეიძლება დავასკვნათ, რომ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე ორიენტირება მასწვლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები კორეალაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. მოსწავლეების მონაწილეობა სასკოლო სასწავლო პროექტებში და კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის, უნარების და ღირებულებების ასათვისებლად, ააქტიურებენ და ავითარებენ მოსწავლეებში ისეთ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან,

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, მ - 10 კლასის საგნობრივი კურიკულუმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან,რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ - ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. აქვე, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება იფარება, რაც იმას გულისხმობს,რომ საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს მზაობა იმისა, რომ კურიკულუმები მიემართებდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის გააზრებული და გაწერილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხის საშუალებით სამივე საგანში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რიგ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, დაგეგმილი პროცესი იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. რომლითაც მოსწავლე სწავლობს ფორმალური თუ არაფორმალური სწავლის პროცესში. ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს ჩამოყალიბებული სამომავლო ხედვა, შესაბამისად მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე,(სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება), რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება), რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი უნდა იყოს. გლობალური უნარები მოსწავლის მრავლამხრივ განვითარებას უწყობს ხელს, რისითვისაც ეროვნული სასწავლო გეგმით კომპლექსური ბუნების დავალებები არის გათვალისწინებული. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების პირობები, ერთ-ერთის თანახმად, მოსწავლეს მოეთხოვება დაამზადოს ბროშურა თემაზე „შენი ქალაქის ღირსშესანიშნაობები“, რომელიც პირდაპირ გადის შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების (გლობალური უნარები) განვითარებაზე მოსწავლეებს შორის. სხვა პირობები სხვა ფუნქციური უნარების განვითარებაზეა ორინტირებული.
კომპლექსური დავალებები, ისევე როგორც სასწავლო პროექტები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განვითარებას უწყობს ხელს. სკოლის განცხადის ფორმაზე თანდართული მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები ისეთ თემებზე, როგორებიცაა კლიმატის ცვილებები და ჯანსაღი ცხოვრების წესი. პროექტის განმხორციელებელ გუნდში, ერთ-ერთ მონაწილე მხარედ დასახელებულია უცხო ენების კათედრის წარმომადგენელი. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები. მოცემული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხო ენების სწავლების დროს, ფუნქციური უნარების განვითარებისთვის, სკოლას მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალებები და პროექტული სასწავლო ღონისძიებები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც მას უკვე გააჩნია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდის**

როგორც ვიცით საშუალო საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში ხორციელდება პროექტული სწავლება. მტკიცებულებებით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება X კლასი, მუსიკას არ აქვს წარმოდგენილი რადგან არჩევითია და სკოლას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ჰქონდა არჩეული) მიემართება ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. საშუალო საფეხურის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სექტემბრამდე დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები, კიდევ უფრო სიღრმისეულად გაეცნონ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოებს. სკოლას აქვს მზაობა სექტემბრამდე დახვეწოს კურიკულუმები. მათ აგრეთვე ისაუბრეს სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) რაც შესაძლებლობას იძლევა, დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ სპორტი

კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს. თემას უმეტეს შემთხვევაში ახლავს კომპლექსური დავალების იდეა, სადაც თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება არის განსაზღვრული. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხები/ქვესაკთხები რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს. მასწავლებლები გეგმავენ, რომ ახალი სასწავლო წლიდან, საშუალო საფეხურზე ყველა კლასში განახორციელონ კომპლექსური დავალებით სწავლება.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

- ✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები; ბ) შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა პირობებიც მოდიფიცირებულია და მორგებულია კლასის საჭიროებასა და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებებით სწავლება, მათი აზრით, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; გ) აღნიშნავენ, რომ ყოველ გაკვეთილზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

იყენებენ გამარტივებულ, დამაზუსტებელ შეკითხვებს, განსაკუთრებით რთულ დავალებებში კი გამოყოფენ ეტაპებს, რომლებსაც მოსწავლე თანმიმდევრულად უნდა მიჰყვეს; დ) მოწოდებულია ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ჩართონ ისინი აქტიურ სასწავლო პროცესში.

მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.

- ✓ **მათემატიკა**

  წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ , სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტიცობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც. ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

  სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.აქვე,ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, საბაზო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საშუალო საფეხურზე,რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ ,ინკლუზიური გარემოს შექმნას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი ისგ-ების საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ცდილობენ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით.
წარმოდეგნილი კურიკულუმის ჩარჩოების, შემაჯამებელი დავალებების (ისტორია - XI, XII კლასები) და კათედრის წევრებთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მრავალფეროვან რესურსს; მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებისთვის მეთოდებს, ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის, შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას. ხორციელდება სასკოლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, შესაძლებლობის ფარგლებში.
ყოველივე ზემოთთქმულიდან იკვეთება, რომ კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დამყარებული სამომავლო ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები,რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული, უცხო ენების, საგნობრივი სტანდარტების, სამიზნე ცნებების დამუშავების დროს,სასწავლო პროცესი უნდა ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; დიფერენცირება შესაძლებელია მოხდეს მრავალი მიმართულებით, მაგ: დიფერენცირება სასწავლო შინაარსის, მოსწავლეებისთვის მიცემული დავალებების და სხვა. სკოლა, თავის განაცხადში, აღნიშნავს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს გარემოსა და სტრატეგიების დიფერენცირებას, რომლებიც აისახება საგნობრივ კურიკულუმებში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებების პრეზენტაციას, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით აკეთებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დიფერენცირებული მიდგომის სასწავლო პროცესში გამოყენების დასადასტურებლად, სკოლას წარმოდგენილი აქვს ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, მეორე უცხო ენის მაგალითზე, აგრეთვე ადაპტირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, პირველი უცხო ენის მაგალითზე. ეს დოკუმენტები, მკაფიოდ მიუთითებს, დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი, საშუალო საფეხურის კურიკულუმები შეეხება მომავალ სასწავლო წელს, ბუნებრივია, სკოლა ზუსტად ვერ გაწერს კონკრეტულ კლასებში, რა ტიპის დიფერენცირების საჭიროება დაუდგება. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირველი და მეორე უცხო ენების სწავლების პროცესში სკოლა გამოიყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს საჭირო მიმართულებით.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.

- ✓ **სპორტი**

სწავლის დიფერენცირებული მიდგომა გათვალისწინებულია კურიკულუმში. გასაუბრებამ ცხადყო, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება მოახდინონ როგორც სასწავლო გარემოს ადაპტაცია, ასევე კომპლექსური დავალების პირობის გართულება, ან გამარტივება ისე, რომ დავალების შესრულების დროს, მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ სახელმწიფო ენა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების საფეხურის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში, რომელშიც ნაჩვენებია კონკრეტული დავალების მოთხოვნების კავშირი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. რუბრიკები არ არის წარმოდგენილი ყველა საფეხურისთვის, მათ შორის არც საშუალოსთვის, მოცემულია საბაზო საფეხურზე დაგეგმილი ერთ-ერთი კომპლექსური დავალების (მონოლოგის დაწერა მ. ჯავახიშვილის ,,ეშმაკის ქვის“ მიხედვით) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა მასწავლებელთა უკუკავშირი ცხადყოფს, რომ ამ გამოცდილების გადატანა სხვა საფეხურის და კლასის შეფასების დროსაც შეუძლიათ. პირველ ეტაპზე კათედრამ ატვირთა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არ ჩანდა კრიტერიუმების თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორებთან კავშირი, თუმცა ვიზიტის მეორე დღეს, რჩევის საფუძველზე, მასწავლებლებმა ამ პრინციპით შედგენილი 1 რუბრიკა წარმოადგინეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა უკუკავშირის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

✓ **მათემატიკა**

მათემატიკის კათედრას წარმოდგენილ კურუკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალება, რომელის პირობა მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ქვესაკითხის მიმართ, ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, კგუფური მუშაობა და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები.
შესაბამისობაშია ინდიკატორთან

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლამ წარმოადგინა ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩო. ერთი, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებებზე - გრძელვადიან მიზნებზე, და მეორე, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ნიმუშებით (XI, XII კლასები) დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი, გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმებიც, გადმოთარგმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით; ასევე შემაჯამებელ დავალებებში მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეაფასოს როგორც საკუთარი თავი, ასევე თანატოლი და მასწავლებელმაც გაიაზროს, რა პროცესი გაიარა მოსწავლემ, გამოკვეთოს მისი ძლიერი და სუსტი მხარე და მისცეს საჭირო უკუკავშირი. ჩანს, რომ სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს, კერძოდ, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. წარმოდგენილი მასალები მიემართება ამ ამოცანების შესრულებას და ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. მოცემული მასალების ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ კათედრას აქვს მზაობა შეფასება მიმართოს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ამისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც უნდა მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. უცხო ენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კათედრას, ინგლისური ენის ერთ-ერთ კონტექსტ მაგალითზე, თანამედროვე ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხები, გადმოგზავნილი აქვს განმვათარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც ერთ სვეტში მოცემულია პირველი უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, (მაგ: ჟანრი, სამეტყველო ქმედება და სხვა) თავისი შედეგებით, მეორე სვეტში ჩადებული აქვს ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და მესამე სვეტში კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს.სკოლას, იგივე კონტექსტ - მაგალითზე, ასევე წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც, შეფასების კრიტერიუმების სახით, მოცემულია სამიზნე ცნებები და თემათან დაკავშირებული მოსალდნელი შედეგები. მეორე სვეტში კი წარმოდგენილია ქულები.

მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. რუბრიკები წარმოდგენილია პირველი უცხო ენის მაგალითზე, თუმცა, ავტორიზაციის პროცესში, მასწავლებთან გასაუბრების დროს, გამოირკვა, რომ მსგავსი ტიპის შეფასების რუბრიკები გამოიყენება მეორე უცხო ენის სწავლების პროცესშიც. რუბრიკები მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, ვინაიდან მათში, შეფასების კრიტერიუმების სახით, წარმოდგენილია, უცხო ენების სატნდარტების, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები შესაბამის შედეგებთან ერთად.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია შეფასების N1 მოდელი. მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, როგორც ინტერვიუზე, ასევე საგნობრივ ოქმში, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით სექტემბრისთვის- 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე.

- ✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და აქვთ წარმოდგენილი რამდენიმე შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას. მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასების ფორმას და ურთიერთშეფასებას. სამომავლოდ გეგმავენ, რომ შექმნან შეფასების რუბრიკა ყველა თემისთვის. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების განხორციელებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიხედვით.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- ✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმის შედგენისას წინარე წინარე გამოცდილება გათვალისიწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ როგორც კათედრამ ვიზიტის დროს აღნიშნა, 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმში შეიტანეს მხოლოდ ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც მათ წარმატებულ წინარე გამოცდილებას ეფუძნება გამოიწვია რა მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და ჩართულობა. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით მოცემულ ეტაპზე არ წარმოუდგენია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, მაგრამ იკვეთება, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, რაც გამოიხატება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება - გაანალიზებაში, პირადი პრაქტიკის გაზიარებასა და ტიპური ხარვეზების გამოკვეთასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში. კათედრა აგრძელებს ამ მიმართულებით პროცესის გაანალიზებას, რათა სრულყოს კურიკულუმი.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება, წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. წინარე გამოცდილებამ ხელი შეუწყო სტანდარტის შესაბამისად ახალი კურიკულუმის დაგეგმვასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას. დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სასწავლო პროცესი, მოწოდებული დოკუმენტაცია, კერძოდ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე ის ფაქტი, რომ სკოლა 2019 წლიდან ჩართული ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ მათ მიერვე შექმნილი კომპლექსური დავალებები, ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმის შემუშავება - დაგეგმვის პროცსში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას . შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა წარმოდგენილი კურიკულუმები, როგორც კათედრის ფარგლებში შექმნილი საერთო პროდუქტი, რომელიც შეიქმნა მშობლის უკუკავშირის და მასწავლებლის თვითშეფასების , მოსწავლის თვითრეფლექსიის საშუალებით. სწორედ ამ გზით მოხდა დაგეგმილ/განხორციელებული პროცესის გაანალიზება, გადაგეგმვა, მორგება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. კერძოდ, ახდენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებას: სასწავლო პროცესის მართვის, სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანზე ორიენტირების, შეფასების, რესურსების მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომის, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინების მიმართულებით. სწორედ მოცემული თვითშეფასების ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი მოხდეს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა.

ჩანს, რომ სკოლას აქვს ფრაგმენტული გამოცდილება ამ კუთხით, კათედრის წევრებთან განხორციელებული ინტერვიუდან გამოვლინდა, რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარებისთვის იყენებს ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, გაკვეთილზე დასწრებისა თუ კრიტიკული მეგობრის მეთოდის საშუალებით, ერთობლივად აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და ა.შ. კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ ვერბალურად, რაც არ არის გაფორმებული დოკუმენტურად, სკოლა გეგმავს, რომ მსგავს გაზიარებებს მიეცემა ოფიციალური სახე, შეიქმნება წინარე გამოცდილებათა დოკუმენტალური ანალიზი რაც დაეხმარება მათ უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილების ანალიზი, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ უცხოური ენების

სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევების გათვალისწინებას მომდევნო სასწავლო წლის კურუკულუმის შედგენის პროცესში. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს წინარე გამოცდილების ანალიზი. მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. აღნიშნულის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი N4, რომელშიც მითითებულია, რომ კათედრა შეიმუშავებს ახალ კომპლექსურ დავალებებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის და მოახდენს 2022-2023 წლის კომპლექსური დავალებების ანალიზს. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობის დროს, საკითხების შერჩევა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია, მიუთითებს კურიკულუმის შემუშავების, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება უცხო ენების საგნობრივ ჯგუფზეც.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა რომ, სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, მოსწავლეთა პროფილის კვლევა, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

- ✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კურიკულუმის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადრება უნდა მიექცეს წინარე გამოცდილებას, რომლის შესახებ ანალიზი შესაძლებელია მასწავლებლის თვითრეფლექსიით და მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშით. ამ მიზნით, კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთთან ცვლიან აზრებს და ერად გეგმავენ კურიკულუმებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა
  - საგნობრივი კურიკულუმი;
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
  - სასკოლო პროექტები;
  - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ მათემატიკა
  - სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
  - ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;
  - კათედრის პორტფოლიო.
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
  - კურიკულუმის ჩარჩოები;
  - 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი;
  - დანართიN6;
  - განაცხადი-II სტანდარტი .
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
  - საგნების: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - კურიკულუმის ჩარჩოები “;
  - შემაჯამებელი დავალების ნიმუშები -საგანი ისტორია (XI, XII კლასები);
  - სასკოლო პროექტები;
  - ინდ. სასწავლო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები).

✓ უცხოური ენები
- საშუალო საფეხურის, უცხოე ენების საგნრობრივი კურიკულუემები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ;
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი N4 ;
- სასკოლო პროექტები ;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

✓ ესთეტიკური აღზრდა
- თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმი.

✓ სპორტი
- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები.

- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- ✓ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ კურიკულუმში სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. გაზიარებულია პროექტული სწავლების გამოცდილებაც, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.

- ✓ **მათემატიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით. გარდა კომპლექსური დავალებებისა, სასწავლო და არაფორმალური აქტივობებიც მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა ორიენტირებულია, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კერძოდ, მეათე კლასის კურიკულუმი ამის თქმის საშუალებას იძლევა, მეთერთმეტე კლასში, რადგან იცვლება სახელმძღვანელოები, მათ მიხედვით მოხდება დაგეგმვა. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლსთვის მასწავლებლები შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს ყველა კლასისთვის და ამ მეთოდით წარმართავენ სწავლა-სწავლებას საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის საშუალო საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნებში ისტორია (X, XII) გეოგრაფია, მოქალაქეობა X კლასის კურიკულუმის ჩარჩოები , ასევე XI, XII კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, სასკოლო პროექტები, საიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის შეირჩეს და განხორციელდეს ისეთი საკითხები, დავალებები, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს.
მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტები კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენები**

დაგეგმილი კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ინტერესები და იგი მოაზრებული იყოს ცენტრალურ ფიგურად. მოსწავლის ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები მოსწავლის ცნობიერებაში ააქტიურებს ისეთ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დაკავშირებულია მის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. საშუალო საფეხურზე, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმები, რომლებშიც ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, უცხო ენების საგნობრივი კურიკულიკულუმებში მოცემული, კომპლექსური დავალებების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას უცხო ენების შესწავლის პროცესში. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას უცხო ენებში განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი. სკოლას ასევე განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები კლიმატის ცვლილებებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩანს უცხო ენების კათედრის თანამონაწილეობა. ზემოთ აღნიშნული ფაქტები, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე მიანიშნებს.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ავტონომიურობას, ინდივიდუალურ საჭიროებებს და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლამ კითხვარში აღნიშნა, რომ პროექტების განხორციელება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს პროექტზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ პროექტის მიმდინარეობაში, შექმნეს პროექტით გათვალისწინებული პროდუქტები და განივითარეს, სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

- ✓ **სპორტი**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია გაწერილი, რაც მოსწავლეში აღძრავს ინტერესებს და მას აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

- ✓ **მათემატიკა**

  სასწავლო პროგრამები(კურიკულუმები) ითვალისწინებს ცოდნის კონსტრუირებას, ძველზე ახლის დაშენების პრინციპს. ახალი მასალა მოსწავლეებს სათანადო დამუშავების გარეშე არ მიეწოდება,მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ ახალი ცოდნის მიღებას ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ახალი მასალის ათვისება. კურიკულუმებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, ახლი ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება და გამოყენება. ამასვე ემსახურება მოსწავლეების სასკოლო პროექტებში ჩართვა.
შესაბამისია ინდიკატორთან.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, რომელიც წარმოდგენილია სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში საგანში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, იძლევა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურების შესაძლებლობას. სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებში მასწავლებლებს შერჩეული აქვთ საკითხები, არის მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. საგნობრივი კურიკულუმი, შემაჯამებელი დავალებები და სასკოლო პროექტები ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა დაა.შ. დაგეგმილი პროცესის პირველი აქტივობაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.
წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა ასევე სამიზნე ცნება, რომელიც უნდა დამუშავდეს შერჩეული საკითხის ფარგლებში, კერძოდ, მისი მკვიდრი წარმოდგენები ისეა ჩაშლილი, წინარე ცოდნის გააქტიურებიდან ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
სკოლის მირ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **უცხოური ენები**

მოსწავლის წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმა, ამ მიზნის მისაღწევად, თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ, საშუალო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმებში, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებზეც მოსწავლეები სამომავლოდ იმუშავებენ. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ გააკეთონ გარკვეული ანალოგია და შექმნან საინტერესო პროდუქტები (მაგ: დაამზადონ ბროშურა, დაწერონ სტატია, მოამზადონ პრეზენტაცია). კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს, მოსწავლეები ახალ ცოდნას წინარე გამოცდილებას უკავშირებენ. სკოლას, უცხო ენებში, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებების მატრიცები, მათში ჩადებულ მთელ რიგ საკვანძო შეკითხვებთან ერთად, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დააფუძნოს ახალი გამოცდილება. სკოლას, კომპლექსურ დავალებებთან ერთად, ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასწავლო პროექტები. ეს ყველაფერი, კონსტრუქტივისტული სწავლების, სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე მიანიშნებს. რაც შეეხება თემატური დაგეგმვის პრინციპს, ეს საკითხი სკოლას ნაკლებად აქვს დანერგილი, და როგორც საკუთარ განაცხადში მიუთითებს, ყველა სასწავლო თემასთან მიმართებით არ ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები. აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესებას კი სკოლა სამომავლოდ გეგმავს.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კომპლექსური დავალების იდეა ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლების პროცესში შემოვიდეს მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტ მაგალითები, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და გააზრებაში.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

- ✓ **სახელმწიფო ენა**

კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელთა საეტაპო აქტივობებიც და წარდგენის ეტაპიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სისტემატურად უსავამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მათ მიღწეული წარმატებისა თუ ხარვეზის გაანალიზებაში დაეხმარებათ(მაგალითად, როგორ ამოიცანი? როგორ მიხვდი? რას დაეყრდენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას და ა.შ); ამასთან, აძლევენ დეტალურ უკუკავშირს იმასთან დაკავშირებით, რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რამ შეუშალა ხელი, როგორ შეიძლება გაუმკლავდეს ხარვეზებს, რაც, მათი აზრით, წაახალისებს მეტაგოკნიტურ პროცესს მოსწავლის გონებაში.

- ✓ **მათემატიკა**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას . საგაკვეთილო პროცესი დაიტვირთულია ისეთი აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. კომპლექსური დავალების წარდგენისას მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ეს კი მოსწავლის მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მართალია არასრულია, მაგრამ მაინც ქმნის იმ სურათს ,რომლის მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში: სამომავლოდ დაგეგმილ - საგნებში ისტორია (X, XII) გეოგრაფია, მოქალაქეობა X კლასის კურიკულუმის ჩარჩოები , ასევე XI, XII კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშებში, სასკოლო პროექტებში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . საკვანძო შეკითხვები, რომლებიც მოცემულ მასალაშია , იქნება ეს საფეხურის თუ თემის, სწორედ სწავლის-სწავლის სტრატეგიებია. სწორედ ამ შეკითხვებზე აქცენტირებით წარმართავს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს.

კურიკულუმებში ისეთი დავალებები ჩანს, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებაზე დაყრდნობით, ააქტიურებს მას, წაახალისებს და აღუძრავს ინტერესს, ბოლოს კი მსჯელობები მოსწავლის გამოცდილებაზე, მის ინტერესებზე, გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე და მისი დასკვნების ვალიდურობაზე, სწორედ რომ წახალისებს მეტაკოგნიციას.

მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე ჩანს რომ შესაძლებელია დაგეგმილი პროცესის ბოლოს. . მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება/ მზაობა და შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ უცხოური ენები

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამჭოლი უნარები, რომელთა შორის ერთ-ერთი არის სწავლის სწავლის კომპტენცია. ეს გულისხმობს, მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიასა და საკუთარი შემეცნების პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაგეგმვა - მონიტორინგს. საკუთარი სწავლის გააზრების, ანუ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის, ეფექტურ საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები მოაზრება. უცხო ენების, საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას. სკოლას აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებები და წარმოდგენილი აქვს რამდენიმე მატრიცა თვალსაჩინოებისთვის. ამ მტკიცებულების შესაწვლის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხო ენების სწავლების პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული და ხელს უწყობს მას გაიაზროს, განხორციელებული სამუშაოს დროს რა სტრატეგიები გამოიყენა, რა გაუადვილდა, რა იყოს ის გზა, რომელიც დავალების შესრულების დროს დაეხმარა. ასევე სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები, რომლებშიც ჩანს უცხო ენების კათედრის ჩართულობა. სასწავლო პროექტებში, როგორც სკოლა მიუთითებს, მოსწავლეთა ჩართულობა მაღალი იყო. შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების დროს სკოლა ყურადღებას მოსწავლის მიერ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე გაამახვილებს, რისი თქმის საფუძველსაც სკოლაში არსებული გამოცდილება იძლევა.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმში ნათლად იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები და აღწერილია კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე.

- ✓ **სპორტი**

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომ წაახალისოს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, ამან უნდა დააფიქროს მოსწავლე სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. კომპლექსურ დავალებაში გაწერილი აქტივობები უბიძგებს მოსწავლეს, რომ თვითონ ააგოს თავისი ცოდნა და მართოს საკუთარი სწავლის პროცესი.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ **სახელმწიფო ენა**

კათედრის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი საკითხების მაგალითზე, წარმოაჩინეს, როგორ იყენებდნენ დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ შეკითხვებს იმისთვის, რომ მოსწავლეებს სიღრმისეულად შეესწავლათ საკითხი.

- ✓ **მათემატიკა**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. (მაგალითი, X კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება „ პროცენტული ცვლილება. საბანკო სესხის გადასახადი“ გაკვეთილზე ნასწავლ მასალას აკავშირებენ ბიზნესსა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებს). ამ ინდიკატორით დასტურდება შესაბამისობა.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართი N6; განაცხადი-II სტანდარტი,სადაც გათვალისწინებულია არაფორმალური აქტივობები სხვადასხვა კლუბებში, მათ შორის ბუნებისმეტყველების მიმართულებითაც და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასავ მათ მიერ წარმოდგენილი ,მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და შესაბამისად კლუბური მუშაობის სამოქმედო გეგმები , შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოები საშუალო საფეხურის X კლასის საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) იკვეთება აქცენტი ცოდნის სამ კატეგორიაზე, როგორც სამიზნე ცნებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დამუშავების კუთხით, ასევე კომპლექსური დავალების პირობაში ჩადებული შეფასების კრიტერიუმების საშუალებით, რომლითაც არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი, ასევე შემაჯამებელი დავალების ნიმუშებში წარმოდგენილი მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა , შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ უცხოური ენები

სასწავლო პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული ცოდნის სამი კატეგირიის განვითარებაზე: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული. თანამედროვე სამყაროში, ეფექტურად მოქმედებისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა. საჭიროა მოსწავლეს შეეძლოს ცოდნის მოქმედებაში გადატანა და მისი გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. ამ შემთხვევაშიც, კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტებში მოსწავლეთა მონაწილეობა არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები, საშუალო საფეხურზე, ითავლისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გაპრაქტიკებას, უცხო ენების შესწავლის პროცესში. სკოლას, ამ მხირვ, გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რის დამადასტურებლადაც მას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული, კომპლექსური დავალებების მატრიცები და სასწავლო პროექტები.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდის**

კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ პროექტების განხორციელებით.

- ✓ **სპორტი**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იმგვარადაა მოცემული, რომ მოსწავლე გაყავს ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმში გაწერილი რესურსები, იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ ფაქტობრივი ცოდნა. კომპლექსური დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლე გამოიმუშავებს პროცედურულ ცოდნას, ასევე ცოდნას იყენებს მრავალმხრივად, ივითარებს პირობისეულ ცოდნას

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- ✓ **სახელმწიფო ენა**

მოსწავლის მხრიდან ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა ჩანს იმაში, რომ კურიკულუმში თემის ფარგლებში განსხვავებული საგნობრივი საკითხები შეისწავლება, რომელთაც გაერთაინებულად მოსწავლე საბოლოო პროდუქტში წარმოაჩენს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ზემოაღნიშნულს იმით მიაღწევენ, რომ შეარჩიეს (და სამომავლოდაც შეარჩევენ) იმგვარი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შემქნაზე.

- ✓ **მათემატიკა**

სასწავლო პროცესის დანახვა საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ზოგადად ხერხდება, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ:კომპლექსური დავალებები, არაფორმალური აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც დასტურდება მომავალი სასწავლო გეგმის პროექტით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, განაცხადი-II სტანდარტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (კურიკულუმის ჩარჩოებში X კლასის საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები ისტორიაში -XI, XII კლასები) ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის,რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა , შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

✓ **უცხოური ენები**

მოსწავლეების ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო კურიკულუმები. მათში ისე უნდა იყოს გაწერილი სასწავლო საკითხები, რომ გააჩნდეთ ურთიერთმიმართებები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიეთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები. იმისთვის, რომ მოსწავლემ გარკვეული კავშირები დაამყაროს ცოდნასა და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასათან, მას მოუწევს ფიქრი პრობლემასა თუ გამოწვევებზე და შესაბამისი ცოდნის თავმოყრა. კომპლექსური ბუნების დავალებები ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, შესაბამისად, მოსწავლე გააქტიურებს სხვადასხვა ცოდნას და ერთმანეთს დაუკავშირებს. საშუალო საფეხურის, კურიკულუმებში, წარმოდგენილია კოპლექსური დავალების პირობები, რომელთა ფარგლებში მოსწავლეები დაამზადებენ ბროშურებს, შექმნიან სტატიებს, გააკეთებენ პრეზენტაციებს და სხვა. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

და ურთიერთდაკავშირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გადმოგზავნილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები და სასწავლო პროექტები. ეს ყოველივე კი სკოლის გამოცდილებაზე მიანიშნებს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მიღწევადია.

- ✓ **სპორტი**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელება იმგვარად იგეგმება, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ცოდნათა გააქტიურებას, ერთმანეთთან დაკავშირებას და ფუნქციურად გამოყენებას. მოსწავლეს უბიძგებს, რომ დავალების შესრულებისას შეძენილი ცოდნა დაუკავშიროს ყოველდღიურ ცხოვრებას და გამოიყენოს უნივერსალურად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა
  - საგნობრივი კურიკულუმი;
  - სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები
- ✓ მათემატიკა
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა ;
  - სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ;
  - ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;
  - კათედრის პორტფოლიო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
  - კურიკულუმის ჩარჩოები;
  - 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი;
  - განაცხადი-II სტანდარტი .
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
  - კურიკულუმის ჩრჩობი;
  - საგნის ,,ისტორია“ XI, XII კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები ;
  - სასკოლო პროექტები.
- ✓ უცხოური ენები
  - საშუალო საფეხურის უცხო ენების კურუკულუმები;
  - განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები;
  - სასკოლო პროექტები.
- ✓ ესთეტიკური აღზრდა
  - მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები;

- ✓ სპორტი
  - კურიკულუმი;
  - კომპლექსური დავალება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

- ✓ **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. საწყის ეტაპზე კათედრამ კურიკულუმი წარმოადგინა მცირე ხარვეზებითა და უზუსტობებით (აღრეული იყო საფეხურის სამიზნე ცნებები), თუმცა ვიზიტისას თავად მივიდნენ დასკვნებამდე და მეორე დღეს წარმოადგინეს მეტად სრულყოფილი ვერსია, რაც მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ მასწავლებლებს აქვთ პოტენციალი, იხემძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ.

- ✓ **მათემატიკა**

წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად. თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას.
შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საშუალო საფეხურზე, კერძოდ, მე-10 კლსის, საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკის კურიკულუმებში არაა წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა, თუმცა მაინც იკვეთება გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილ კურიკულუმებში - საგნები ისტორია, გეოგრაფია , მოქალაქეობა - სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები, რომლებსაც მიემართება ასევე. წარმოდგენილი XI, XII კლასების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები საგანში ისტორია, ცოდნისკენ სვლა კი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს . კურიკულუმებში და დაგეგმილ პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს შორის.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება/ მზაობა და შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენების**

ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხო ენების სტანდარტში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება; სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, საშუალო საფეხურის, საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, ხოლო მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად ძირითადად განვრცობოლია იმ თავებში, რომლებშიც მასწავლებელს მოაზრებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

აქვს კომპლექსური დავალების განხორციელება. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, უცხო ენებისთვის გათვალისწინებულ სარეკომენდაციო თემებს და იძლევა შესაძლებლობას მათზე დაყრდნობით დამუშავდეს სამიზნე ცნებები. მაგალითად, ინგლისური ენის მეათე კლასის კურიკულუმში საგნობრივი საკითხი არის მოგზაურობა, ტურიზმი, ხოლო სამიზნე ცნებებია- ჟანრი (ბროშურა); კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი, არავერბალური კომუნიკაციის საშუალება: ინტონაცია, მახვილი, პაუზა. კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე მოსწავლეს მოეთხოვება ტურისტული ბროშურის დამზადება.

სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი არის დანახული. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები, რომლებშიც სათანადოდ არის ჩაშლილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და რესურსები. როგორც ავტორიზაციის განაცხადში არის მიუთითებული, რომ სკოლა ჩართული არის ახალი სკოლის მოდელში, შესაბამისად მას აქვს სამიზნე ცნებებისა და საგნობრივი საკითხების ერთმანეთთან დაკავშირების გარკვეული გამოცდილება, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ სკოლა წარმატებით განახორციელებს მის მიერ დაგეგმილ სასწავლო კურიკულუმს.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდის**

საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს - დაგეგმილ პროექტულ დავალებებზე საუბრისას.

- ✓ **სპორტი**

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, სადაც დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ჯანსაღი ცხოვრების წესი. კურიკულუმში გაწერილი დავალებები იძლევა საშუალებას, რომ გააზრებული და გათავისებული იქნას კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენას და საგნობრივ საკითხებს შორის, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენას.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- ✓ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო თემები და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, სკოლა - ეს მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული და ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს;

- ✓ მათემატიკა

ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული.ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საგნობრივი კონტექსტები ისეა შერჩეული, რომ ქმნის მოსწავლის საჭიროებების და მისი პიროვნული თუ სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. საკითხები, ასევე საკითხები და კომპლექსური დავალების იდეები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. მოსწავლე ჩამოყალიბდება პიროვნებად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა , რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ **უცხოური ენების**

სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს, აუცილებელია მოსწავლეს შევთავაზოთ საგნობრივი კონტექსტი, რომელიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილია მთელი რიგი სასწავლო თემები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება მოსწავლისთავის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს (მაგალითად: სწავლა სკოლაში, მოგზაურობა-ტურზმი, მომავალი და ტექნოლოგიები და სხვა). საგნობრივი კურიკულუმით გაწერილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელებასაც სკოლა სამომავლოდ გეგმავს. კომპლექსური ბუნების დავალებები, ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო პროექტები, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ზრდას უწყობს ხელს.

- ✓ ესთეტიკური აღზრდის

კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას.

- ✓ სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უვითარდება სოციალური და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე შესრულებული მოქმედების აღწერის შედეგად გააცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რაც თავისთავად უზრუნველყოფს თვითრეგულირებული სწავლის უნარის განვითარებას.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

✓ **სახელმწიფო ენა**

ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.

✓ **მათემატიკა**

სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, რადგანაც იგი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. მასწავლებლებთან კომუნიკაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მოსწავლის ხელშეწყობას პიროვნული განვითარებისთვის და სასწავლო გეგმის შედეგზე გასასვლელად. სისტემატიურად ტარდება დიაგნოსტიკური წერები და კეთდება მისი ანალიზი. რომლის გათვალისწინებითაც იგეგმება სასწავლო პროცესი. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კათედრაზე წარმოდგენილ მე-12 რესურში იკვეთება სკოლის მზაობა მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება განახორციელოს კურიკულუმზე მორგებული შეფასების რუბრიკების მიხედვით,კერძოდ,ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით, არჩეული და გამოყენებული იქნება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია,რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. შესაბამისად,სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

  განმსაზღვრელი და განმვითარებელი შეფასების რუბრიკებით საშუალებით (სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რუბრიკები) დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს , და ა.შ.

  შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს .

  მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, სადაც იკვეთება სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალება.

  წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან.

- ✓ უცხოური ენების

ეროვნული სასწავლო გეგმა, გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა, ასევე მიუთითებს, რომ საჭიროა მოსწავლის უნარების ჰოლისტური შეფასება, რაც საგნობრივ-აკადემიურ მხარესთან ერთად, მოსწავლის განვითარების სხვადასხვა ასპექტს (ინეტელექუალური, სოციალური, ემოციური და სხვა) მოიცავს. ავტორიზაციის პროცესში, სკოლამ დამატებით წარმოადგინა შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კორძაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ზოგადი რუბრიკები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს) და სხვა. სკოლას, პირველი უცხო ენის მაგალითზე, წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მასთთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია, ჰოლისტური შეფასების სრულყოფილი მეთოდოლოგია უცხო ენების კათედრაზე შემუშავებული არ არის, მიუხედავად ამისა, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მათ ყოველთვის იციან, რომელი კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება.

- ✓ **სპორტი**

არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და უზრუნველყოფს შეაფასოს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, დაანახოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

- ✓ სახელმწიფო ენა

სასკოლო სასწავლო გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

✓ **მათემატიკა**

სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლის გამოცდილება და სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი ადასტურებს , რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნის: ისტორია, (X, XII) გეოგრაფია, მოქალაქეობა (X კლასი) - კურიკულუმის ჩარჩოების , შემაჯამებელი დავალების XI, XII კლასების ნიმუშები საგანში ,, ისტორია“ , მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები) საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებელი შეფასებას შეიმუშავებს გრძელვადიანი მიზნის მიღწევის (რა შედეგი/სამიზნე ცნება არის შეფასების ორიენტირი), ასევე პროცესის გასაზომად, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა და საერთო ჯამში შედეგების გასაუმჯობესებლად, შეფასების სამი კომპონენტის (საშინაო, საკლასო, შემაჯამებელი) გათვალისწინებით. შემაჯამებელი დავალება, კომპლექსური დავალების პირობა იძლევა მიზნის მიღწევის , მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას შერჩეული სწავლა-სწავლების რესურსების საშუალებით.

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების პირობა და მოსწავლის მიერ შესაქმნელი სხვადასხვა პროდუქტი, რომლებიც მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისა და უფრო მაღალი დონის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საზროვნო უნარების (პრობლემის გადაჭრა, შეფასება და ა.შ.) განვითარების ხელშემწყობია. ასევე შესაძლებელია ამ პროცესში მოსწავლეებმა განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს. სწავლის შედეგის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა შეფასების რუბრიკებში გაწერილი კრიტერიუმები. იკვეთება, რომ კრიტერიუმები ორიენტირებულია მასწავლებლის მიერ შერჩეული მიზნისკენ / სწავლის შედეგისკენ, აქედან გამომდინარე შეფასება არის ვალიდური, შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში სწორად არის შერჩეული,

წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებებში და შეფასების რუბრიკაში ჩანს , როგორ ფასდება მოსწავლეების ნამუშევარი და რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, რითაც შეფასება გამჭვირვალე ხდება.

შეფასების წარმოდგენილი რუბრიკები კარგადაა გააზრებული და გაწერილი, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა შემფასებელი ადვილად მიიყვანოს საერთო შეფასებამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან. უცხოური ენების

✓ უცხოური ენები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. უცხო ენების კათედრას ასევე წარმოდგენილი აქვს რუბრიკები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. აღნიშნული რუბრიკების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას უცხო ენების სწავლების პროცესში. შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

✓ ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით; მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. იმისთვის, რომ შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას.

- ✓ სპორტი

შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ითვალისწინებს ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეებისათვის წინასწარ არის ცნობილი. წარმოადგინეს რამდენიმე შეფასების რუბრიკა: ფეხბურთის, კალათბურთის და ტანვარჯიშის. ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ, რომ ყველა კომპლექსური დავალებისათვის შექმნან შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-052-ით დამტკიცებული შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაცი განახორციელოს სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცსში იგეგმება დირექტორის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში), კათედრების ხელმძღვანელების და ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობა.

ვერიფიკაციის განხორციელება იგეგმება სამ ეტაპად. ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე მოხდბა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე განხორციელდება შეფასების პროცესზე დაკვირვება, რათა შეფასდეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. ვერიფიკაციის მესამე ეტაპზე განხორციელდება უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციისას არ განიხილება სკოლის ყველა მოსწავლის მტკიცებულება, მტკიცეებულებები შეირჩევა იმ რაოდენობით, რომ საგნის სწავლების ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია საგნის მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ - ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის რაოდენობრივი ზრდა. რისკ ფაქტორია მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი. ამრიგად სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში დაინერგება შეფასების ვერიფიკაციის სისტემა.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები არცერთ შიდამარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი არ აქვს, თუმცა სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

<u>სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას ვადები ინდიკატორთან შესაბამისობაში.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-052 შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
  - ✓ სახელმწიფო ენა
    - საგნობრივი კურიკულუმი;
    - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
    - სასწავლო პროექტები;
    - მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
    - სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
  - ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
    - კურიკულუმის ჩარჩოები;
    - 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი;
    - დანართიN6;
    - განაცხადი-II სტანდარტი ;
  - ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
    - საგნის: ისტორია, (X, XII) გეოგრაფია, მოქალაქეობა (X კლასი) - კურიკულუმის ჩარჩოები;
    - შემაჯამებელი დავალების XI, XII კლასების ნიმუშები საგანში ,, ისტორია“ ;
    - მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები).
  - ✓ უცხოური ენები
    - საშუალო საფეხურის უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ზოგადი რუბრიკები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები.

✓ ესთეტიკური აღზრდა
- მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების კითხვარი.

✓ სპორტი
- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალება ;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. მასწავლებლები დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი კულტურა, ხდება გამოცდილების გაზიარება. სასკოლო საზოგადოებასა და სკოლას შორის დამყარებულია ეფექტური კომუნიკაცია. სკოლაში, როგორც ძირითად ისე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. კლასის დამრიგებლებს მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები;
- ინდგეგმები;
- მოსწავლის პირველადი მართვის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანამდევ, განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან , მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარების, სასწავლო ჯგუფებში მუშაობის და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობის (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე) მხარდაჭერაში დირექციის მხრიდან, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის, და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს, ეხმარება სირთულეების დაძლევაში, ლიდერ მასწავლებელთა შემთხვევაში ლიდერი მასწავლებლები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს და გეგმავენ განვითარების გზებს. ამრიგად სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულბის მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება, გამოავლინონ საჭიროება და ერთობლივად განსაზღვრონ პრობლემის გადაჭრის გზა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;
- კათედრების გეგმები და ქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი შესაბამისად იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. შესაბამისად სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, აკვირდება დამრიგებელი, რასაც ემატება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია. ყველა წარმოდგენილი მიმართულებით თავმოყრილი შეფასება სკოლას აძლევს ერთის მხრივ მოსწავლის მრავალი კონტექსტით შეფასების საშუალებას და მეორეს მხრივ სასწავლო პროცესის საჭიროების შემთხვევაში გადაგეგმვის მიმართულების მიმცემია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს როგორც დაკვირვებას, ასევე შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი) ანალიზს, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დინამიკის აღრიცხვას და მეორადი მონაცემების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების ძირითადი ინდიკატორი კი მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დინამიკა, მათი მოტივაციის განმსაზღვრელი ფქტორების და მშობელთა კმაყოფილების დონის კვლევაა, რასაც სკოლა ახდენს როგორც მეორადი მონაცემების ანალიზით ასევე დაკვირვებითა და კომუნიკაციით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხრეიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვიტარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

05.09. 2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: